დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

გულნარა ხაბურზანია-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები:

თამარ ხუციშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ნინო აბესაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

თამარ ცხადაია-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ინგა გელაშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

სალომე არაბიძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

თინათინ ლაზარაშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

თეა გაბისონია-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ლალი აბულაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

ალექსანდრე ჩახნაშვილი-სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ლანა კუჭავა-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	216317297

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი რუსთავი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. რუსთავი, მესხიშვილის II გასასვლელი N3
საფოსტო ინდექსი	37000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://sites.google.com/view/rustavi21
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Rustavi21@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 71 15 19

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 31იანვრის MES 8 26 0000096000 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 26 და 27 თებერვალი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი რუსთავი მესხიშვილის II გასავლელი N3
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი რუსთავი მესხიშვილის II გასავლელი N3
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი რუსთავი მესხიშვილის II გასავლელი N3

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 31იანვრის MES 8 26 0000096000 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განვახორციელეთ ვიზიტი სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლა მის.: ქალაქი რუსთავი მესხიშვილის II გასავლელი N3 ა.წ. 26 და 27 თებერვალს. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე

მოხდა დოკუმენტაციის შესწავლა და დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხრიდან.

ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დამატებითი იქნა გამოთხოვილი გარკვეული დოკუმენტაცია.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი საგნობრივი მიმართულების მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. სკოლის პერსონალი ორიენტირებულია განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებზე და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს, განსაკუთრებული ყურადღება და ზრუნვა ინკლუზიური განათლების გაძლიერების მიმართულებით. სკოლის გაცხადებული მისიის თანახმად, სკოლის მისიია ,,უსაფრთხო, ინკლუზიური, განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა“... ხოლო სკოლის მიერ შემუშავებული ხედვით: ,,2030 წლისთვის სსიპ – ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლა იქნება უსაფრთხო, ინკლუზიური და განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცე, სადაც მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები

ერთობლივად ქმნიან სწავლა-სწავლების მხარდამჭერ გარემოს“. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას მისიასა და ხედვაში გაჟღერებული მიზნები რეალურად აქვს სკოლას გააზრებული, რამდენადაც წელიწადზე მეტია სკოლაში დასაქმებულია შშმ პირი, რომელიც ყოველდღიურად ზრუნავს სკოლის სხვა პერსონალთან ერთად ხელი შეუწყოს სკოლაში სამუშაო გარემოს შექმნას. იგი ყოველდღიურად ეხმარება პერსონალს თუ მოსწავლეებს სხვადასხვა მასალის ასლის გადაღებაში თუ ფოსტაზე მიწოდებული მასალების ამობეჭდვაში. დირექციის ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი მაგალითია მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის, რამდენადაც ბავშვები სწავლობენ და ეჩვევიან განსახვავებული შესაძლებლობის მქონე ზრდასრულ ადამიანთან ურთიერთობას, აღიქვამენ მათ საზოგადოების სრულუფლებიან წევრად და სწავლობენ ერთმანეთის თანადგომას, თანამშრომლობას, ემპათიას. სკოლას ჰყავს საკმაოდ დიდი რაოდენობის სსსმ მოსწავლე და მათ განათლებაზე ზრუნავს 17 შესაბამისი პროფილის მქონე სპეციალისტი.

უნდა აღინიშნოს სკოლის გამოცდილება პრაქტიკანტებთან მუშაობის კუთხით. სკოლას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული ა(ა)იპ საქართველოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან, სოხუმის უნივერსიტეტთან მასწავლებლების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების პედაგოგიური პრაქტიკით უზრუნველყოფის ან სტაჟირების მიზნით, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს განავითარონ პრაქტიკული პროფესიული უნარები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებში. როგორც სკოლის ანგარიშში იყო წარმოდგენილი, სკოლამ 5 პრაქტიკანტს უმასპინძლა და ეს პროცესი ორიენტირებულია მომავალი თაობის პროფესიული უნარების განვითარებაზეც. აქედან გამომდინარე, სკოლა ერთნაირად ცდილობს იზრუნოს არა მხოლოდ სკოლაში მყოფ სსსმ მოსწავლეებზე, არამედ ორიენტირებულია ხელი შეუწყოს მომავალ თაობას ამ მიმართულების გაძლიერებაში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1650	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	ვიზიტის პერიოდში სკოლის ინსფრასტრუქტურის არსებული რესურსის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლა შეძლებს საგანმანათლებლო მომსახურება შესთავაზოს 1650 მოსწავლეს <u>ორი ცვლის შეთხვევაში.</u>

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.2.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.*	დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისად კვალიფიციური სამედიცინო კადრის აყვანა შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში (26.02.2026-25.02.2027).

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების	*სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა აკრედიტებულ ორგანიზაციაში.*

	დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	*(იხ. ინდიკატორის აღწერა)*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების **<u>დაწყებითი საფეხურის</u>** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>*** *სასურველია, **დაწყებითი საფეხურის** პედაგოგებმა კურიკულულუმის შედგენისას ითანამშრომლონ **საბუნებისმეტყველო კათედრასთან** და გაითვალისწინონ მათი გამოცდილება საგნობრივი სტანდარტით გასაზღვრული ძირითადი თემებისა და სამიზნე ცნებების სვეტების შევსებისას.* ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***<u>დაწყებითი საფეხური:</u>*** *სასურველია, დაწყებითი საფეხურის ბუნების კურიკულუმში გაითვალისწინონ საგნობრივი სტანდარტით გასაზღვრული ძირითადი თემები და სამიზნე ცნებები.* ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***

		<u>სახელმწიფო ენა:</u> *კურიკულუმის ჩარჩოში ზოგ შემთხვევაში გაიგივებულია საკითხი და კონტექსტმაგალითი, სასურველია, კათედრამ იხელმძღვანელოს ეროვნული სასწავლო გეგმით და საკითხი ჩამოაყალიბოს შესაბამისად.* ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***<u>ტექნოლოგიები:</u>*** *სასურველია, დაწყებითი საფეხურის II-VI კლასების კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნებების სვეტში მკაფიოდ იყოს ჩაწერილი სამიზნე ცნებები, ასევე კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს სვეტი "მიმართულებები" სამიზნე ცნებებთან მიმართებით.* ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
ინდიკატორი N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>*** *სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენისას დაწყებითი საფეხურის, ქიმიის და ფიზიკის მასწავლებლებმა ითანამშრომლონ ბიოლოგიის მასწავლებლებთან და გაიზიარონ მათი გამოცდილება, რათა შეფასების რუბრიკებში მეტად იყოს გამოკვეთილი კავშირი სამიზნე ცნებებთან და ცნების ინდიკატორებთან.* ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***<u>სახელმწიფო ენა:</u>*** *სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას.* ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***<u>ტექნოლოგიები:</u>*** *სასურველია, შეფასების რუბრიკებში იყოს გამოკვეთილი კავშირი სამიზნე ცნებებთან მიმართებით.* ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***<u>დაწყებითი საფეხური:</u>*** *სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/*

		კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების <u>საბაზო საფეხურის</u> ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>*** *კურიკულუმის შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია კათედრამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გაითვალისწინოს მოქალაქეობის საგნობრივი გზამკვლევების მეთოდური რეკომენდაციები.* ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***<u>სახელმწიფო ენა:</u>*** *კურიკულუმის ჩარჩოში ზოგ შემთხვევაში გაიგივებულია საკითხი და კონტექსტმაგალითი, სასურველია, კათედრამ იხელმძღვანელოს ეროვნული სასწავლო გეგმით და საკითხი ჩამოაყალიბოს შესაბამისად.* ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>*** *სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენისას ქიმიის და ფიზიკის მასწავლებლებმა ითანამშრომლონ ბიოლოგიის მასწავლებლებთან და გაიზიარონ მათი გამოცდილება, რათა შეფასების რუბრიკებში მეტად იყოს გამოკვეთილი კავშირი სამიზნე ცნებებთან და ცნების ინდიკატორებთან.* ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***<u>სახელმწიფო ენა:</u>*** *სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას.*

		(იხ. ინდიკატორის აღწერა)
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების <u>საშუალო საფეხურის</u> ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	*<u>სახელმწიფო ენა:</u>* *სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ სამივე საფეხურისთვის ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას.*
ინდიკატორი N2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>* *სასურველია, ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟდეს გამწოვი.* *(იხ. ინდიკატორის აღწერა)*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

2026 წლის 27 მარტის MES 3 26 0000372738 კორესპონდენციით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა და ხარვეზის გამოსწორების მასალები. რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება" ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი", ან ,,არ შეესაბამება" ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო კონკრეტული ხარვეზების აღმოფხვრა და რამდენიმე რჩევაც გაითვალისწინა, რიგი ინდიკატორები ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც ,,შეესაბამება", ,,მეტწილი" კერძოდ:

- ***ინდიკატორი N3.1.1.1.–სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;***

დასკვნის პროექტში დახარვეზდა აღნიშნული ინდიკატორი, რადგან ***<u>სკოლის ორგანოგრამაგით არ ჰყავდა განსაზღვრული სამედიცინო პერსონალი.</u>***

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე განახლებული სკოლის ორგანოგრამა, რომელშიც გათვალისწიებულია სამედიცინო პერსონალი, როგორც სკოლის სტრუქტურული ერთეული/პოზიცია. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფია იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და მიიჩნევს, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია და ინდიკატორის შეფასება არის <u>სრული შესაბამისობით.</u> **ინდიკატორი N3.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

- ***ინდიკატორი N3.1.2.3. – პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.***

2020 წლიდან დასაქმებულთა პირად საქმეში არ იყო განთავსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ,,უფლების ჩამორთმევის" ცნობები.

დაწესებულებამ **არგუმენტირებული პოზიციიის სახით** წარმოადგინა თანამშრომელთა ცნობები ,,უფლების ჩამორთმევის შესახებ". რამდენადაც ხარვეზი აღმოფხვრილია, ინდიკატორი შეფასდა <u>სრული შესაბამისობით,</u> შესაბამისად **ინდიკატორი N3.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

- ***ინდიკატორი N3.1.2.4. – პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.***

დასკვნის პროექტში დახარვეზდა აღნიშნული ინდიკატორი, რადგან სამოქალაქო განათლების მოწვეულ მასწავლებელს (4 საათობრივი დატვირთვით) არ დაუდასტურდა კანონმდებლობით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

არგუმენტირებული პოზიციიის სახით დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულება აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა ბრძანება სამოქალაქო განათლების მოწვეულ მასწავლებელთან შრომითი

ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ (ბრძ. N1-13; 27.03.2026წ.) და მისი საათების (4სთ) არსებულ თანამშრომელზე გადანაწილების შესახებ (ბრძ. N1-14; 27.03.2026წ.). ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და მიიჩნევს, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა", ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა **,,სრული" შესაბამისობით.** **ინდიკატორი N3.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

- ***ინდიკატორი N2.2.2.4.-სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი***

დასკვნის პროექტში დახარვეზდა აღნიშნული ინდიკატორი, რადგან სამოქალაქო განათლების მოწვეულ მასწავლებელს (4 საათობრივი დატვირთვით) არ დაუდასტურდა კანონმდებლობით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

არგუმენტირებული პოზიციიის სახით დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულება აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა ბრძანება სამოქალაქო განათლების მოწვეულ მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ (ბრძ. N1-13; 27.03.2026წ.) და მისი საათების (4სთ) არსებულ თანამშრომელზე გადანაწილების შესახებ (ბრძ. N1-14; 27.03.2026წ.). ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და მიიჩნევს, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა", ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა ,,სრული" შესაბამისობით. **ინდიკატორი N2.2.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

- ***ინდიკატორი N3.4.1.2.–სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.***

სკოლას არ ჰყავდა ექიმი, შესაბამისად სკოლა ვერ უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურებას კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დაწესებულების მიერ **არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის გეგმა,** რომლის თანახმად დაწესებულება გეგმავს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს კვალიფიციური სამედიცინო კადრის აყვანა 2026 წლის 26 თებერვლიდან 2027 წლის 25 თებერვლამდე. სკოლას არაერთხელ ჰქონდა ვაკანსია გამოცხადებული, ბოლოს 2026 წლის 26 თებერვლიდან (პორტალზე TeacherJobs.ge) 2026 წლის 9 მარტამდე, რომელიც კადრის არარსებობის გამო ჩაიშალა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შესაბამისობის გეგმის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, რის გამოც **<u>ინდიკატორი N3.4.1.2. შეფასდა როგორც ,,მეტწილი".</u>**

- ***ინდიკატორი N3.4.1.6.–სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.***

სკოლას არ ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი.

დაწესებულებამ **არგუმენტირებული პოზიციის** სახით აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებად წარმოადგინა სსიპ-ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 06 მარტის ბრძანება ,,სსიპ-ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის და მისი სამუშაო აღწერილობის დამტკიცებს შესახებ". ბრძანების თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად განისაზღვრა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და დასკვნის პროექტში დახარვეზებული ინდიკატორი წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ უკვე შეფასდა **,,სრული" შესაბამისობით. ინდიკატორი N3.4.1.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასკვნის პროექტში აღწერილი ხარვეზების გარდა, სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები. კერძოდ:

- ***ინდიკატორი N3.4.1.7.–სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები***

დასკვნის პროექტში გაცემული იყო რჩევა: სასურველია, სკოლამ დროულად უზრუნველყოს სველი წერტილიდან ძველი დოკუმენტაციის გატანა, დაარქივება და სივრცის განთავისუფლება.

სკოლამ გაითვალისწინა რჩევა: არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოდგენილ წერილში სკოლა აღნიშნავს, რომ დოკუმენტაცია სრულად გატანილია აღნიშნული სივრციდან, დახარისხდა და განთავსდა შესაბამის საარქივო გარემოში, აღნიშნული რჩევის გათვალისწინების ფაქტი დასტურდება შესაბამისი ფოტომასალით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულია სკოლის არგუმენტირებული პოზიცია.

- ***ინდიკატორი N3.5.1.1 – სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით:***

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო შემდეგი რჩევა: სასურველია, უსაფრთხოების მიზნით საქვაბიდან გატანილ იქნას ყველა მალაალებადი ნივთი; სასურველია, სკოლამ შენობის რეაბილიტაციის შემდეგ უზრუნველყოს აზომვითი ნახაზების განახლება.

სკოლამ გაითვალისწინა რჩევა: კერძოდ, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საქვაბიდან გატანილია ყველა მალაალებადი ნივთი, რაც ამცირებს შესაძლო რისკებს და უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. ასევე გათვალისწინებულია რჩევა შენობის რეაბილიტაციის შემდგომ აზომვითი ნახაზების

განახლების შესახებ და დაწყებული აქვს სკოლას შესაბამისი აქტივობების განხორციელება, განახლებულია საკადასტრო გეგმა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულება ფოტომასალის სახით.

- ***ინდიკატორი N4.1.2.1.–სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.***

*დასკვნის პროექტში იყო რჩევა: სასურველია, ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს სკოლის ორი დოკუმენტი - **მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმი** (ბრძ. N2-635; 23/12/2025წ.) და **მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი** (ბრძ. N2-656; 25/12/2025). რამდენადაც ორივე დოკუმენტში წარმოდგენილი რამდენიმე საკითხი ერთმანეთს ჰფარავს.*

არგუმენტირებული პოზიციის სახით სკოლამ აღნიშნა, რომ **გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა,** კერძოდ, სკოლამ შეიმუშავა ერთიანი დოკუმენტი „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მექანიზმი", რომელიც აერთიანებს და არეგულირებს შესაბამის პროცესებს ერთიან თანმიმდევრულ ფორმატში. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას.

<u>მეორე სტანდარტთან მიმართებაში დაწესებულებამ გაითვალისწინა რამდენიმე რჩევა</u> და მტკიცებულებად არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და აღნიშნავს, რომ სკოლამ გაითვალისწინა მათი რჩევები, კერძოდ:

- ***ინდიკატორი: 2.1.2.2.*** - საბაზო და საშუალო საფეხურები - მათემატიკა;
- ***ინდიკატორი: 2.1.2.5.*** - საშუალო საფეხური - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; სამივე საფეხური - მათემატიკა; სამივე საფეხური - სპორტი;
- ***ინდიკატორი: 2.2.1.3.*** - სამივე საფეხური - მათემატიკა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქ. რუსთავის N21 საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისია და ხედვა გაწერილია სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის მისიაა: უსაფრთხო, ინკლუზიური, განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების, ინტერესებისა და ნიჭის გამოვლენა-განვითარებას, აძლიერებს ანალიტიკური, კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებელი სწავლის უნარს.

სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა თვითშემეცნებასა და კარიერულ ორიენტაციაზე, რათა მათ შეძლონ მომავალი საგანმანათლებლო-პროფესიული გზის გააზრებულად განსაზღვრა და ჩამოყალიბდნენ საზოგადოების დემოკრატიულად მოაზროვნე, ეროვნული ფასეულობების მქონე, სრულფასოვან წევრებად, რომელთაც გააჩნიათ მუდმივცვალებად გარემოში ადაპტაციის უნარი.

რაც შეეხება სკოლის ხედვას, 2030 წლისთვის სსიპ – ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლა იქნება უსაფრთხო, ინკლუზიური და განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცე, სადაც მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები ერთობლივად ქმნიან სწავლა-სწავლების მხარდამჭერ გარემოს. პროფესიონალთა გუნდი უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების, ინტერესებისა და ნიჭის გამოვლენასა და განვითარებას. სკოლა აღზრდის კრიტიკულად მოაზროვნე, პასუხისმგებელ და თვითრეალიზებაზე ორიენტირებულ ახალგაზრდებს, რომლებიც დემოკრატიულ და ეროვნულ ღირებულებებზე დაყრდნობით შეძლებენ გააზრებული არჩევანის გაკეთებას და წარმატებით ჩართვას მუდმივად ცვალებად საზოგადოებრივ და პროფესიულ გარემოში.

სკოლის ღირებულებებია: გამჭირვალობა; მიუკერძოებლობა; თანამშრომლობა; ობიექტურობა; განვითარება და ინოვაციურობა: **ინდიკატორი 1.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.**

სკოლის მისია და ხედვა ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და მათი შინაარსი მოიცავს მთავარ პრინციპებს - უსაფრთხო, ინკლუზიური, განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების, ინტერესებისა და ნიჭის გამოვლენა-განვითარებას. სასკოლო საზოგადოებასთან ექსპერტთა მიერ გასაუბრებითაც დასტურდება, რომ სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი მოსწავლეების

ემოციური უსაფრთხოებისთვის, რათა მათ თავი მაქსიმალურად დაცულად იგრძნონ და შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. სკოლა მაქსიმალურად ცდილობს შექმნას სოციო-კულტურული გარემო, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემაზე, თანამშრომლობაზე, ნდობასა და დემოკრატიის დაცვის პრინციპებზე. სკოლა ამ მიმართულებით ახორციელებს სასკოლო პროექტებს, რომლებშიც აქტიურად ჩართულია სასკოლო საზოგადოება. ამ მხრივ საინტერესო პროექტი განხორციელდა მოსწავლეებისა და მშობლების ერთობლივი ჩართულობით. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე პროექტი „რუსთავის ისტორია", რომელსაც ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტები თავადაც გავეცანით. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა გამოევლინათ ინდივიდუალური შესაძლებლობები და კიდევ უფრო მეტად გაეთავისებინათ მათი ქალაქის ისტორია. ბავშვებმა მშობლების დახმარებით შექმნეს ილუსტრირებული სახელმძღვანელო საკუთარი ნაშრომებით. ასეთი პროექტი/ები ემსახურება სკოლის მიისიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას და ნამდვილად პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 1.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის ფილოსოფიის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით 2023 წლის 03 სექტემბერს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის სხდომის ოქმშიც ვკითხულობთ, რომ სკოლისთვის პრიორიტეტული იყო არსებული სკოლის ფილოსოფიის გადახედვა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავების პროცესში. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა განხორციელდა ელექტრონულად, forms-ის კითხვარების მეშვეობით. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ასევე დამრიგებლების ჩართულობით ხდებოდა დახურულ ჯგუფებშიც უკუკავშირის მიღებაც. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლის ფილოსოფია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც დასტურდება არამარტო სკოლის მიერ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტაციით, არამედ დირექციასთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან გასაუბრებით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 1.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების მიზნით სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავებისას დაწესებულებამ მონაცემთა შეგროვებისთვის გამოიყენა კითხვარები, რომელიც წარმოდგენილი იყო ასევე ვიზიტის პერიოდში. აღნიშნული დასტურდება სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებითაც. გამოკითხვაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ მოსწავლეებს, მშობლებს და თანამშრომლებს. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ სკოლის არსებულ ფილოსოფიას და ამასთანავე გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრება, რამდენად ეთანხმებოდნენ ან რის ცვლილებას ისურვებდნენ ამ მიმართულებით და სხვ.

სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა სკოლის განახლებული მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლის განხილვა/გაცნობა მოხდა მეთოდოლოგიის დოკუმენტით გათვალისწინებული ეტაპების შესაბამისად. **ინდიკატორი 1.1.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს სკოლის ფილოსოფიას (სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები), რამდენადაც იგი საჯაროდაა ხელმისაწვდომი და განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე: სკოლის ოფიციალური ვებგვერდი https://sites.google.com/view/rustavi21 სკოლის ოფიციალური Facebook გვერდი: https://www.facebook.com/Rustavischool21 **ინდიკატორი 1.1.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. კერძოდ, საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი 1.1.1.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1, N2; (2023 წლის 03 სექტემბერი);
- სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შექმნის 2023 წლის 01 სექტემბრის ბრძანება N1-57;
- კითხვარები და კვლევის შედეგები;
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- სკოლის ვებგვერდი;
- სასკოლო კურიკულუმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მმართველობითი პროცესის - სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დოკუმენტის მე-7 მუხლით რეგულირდება ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პროცესი, რომლის დროსაც დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოებასთან, ისმენს მათ შენიშვნებს და რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს აღნიშნული რეკომენდაციების საბოლოოდ შემუშავებულ დოკუმენტებში ასახვას. **ინდიკატორი 1.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სტრატეგიული გეგმა შედგება სკოლის ფილოსოფიის, SWOT ანალიზის, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანებისგან. 2023 წლის 03 სექტემბერს სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელშიც განისაზღვრა სკოლის მისიის შესაბამისი პრიორიტეტული ამოცანები და მიზნები. სკოლის შესაძლებლობისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება/მოვალეობების განხორციელებისთვის სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებებით: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; მატერიალური-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; ორგანიზაციული განვითარება. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური და ემსახურება სკოლის მისიისა და ხედვის რეალიზებას. სტრატეგიული გეგმის პროექტი განხილულ იქნა 2023 წლის 21 სექტემბრის პედაგოგიურ საბჭოზე N8 და დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 25 სექტემბრის N11 სხდომაზე. დაწესებულებამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფების, პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს ოქმები. **ინდიკატორი 1.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობდა შვიდწლიანი სტრატეგიულ გეგმიდან. ვიზიტის პერიოდში სკოლამ ასევე წარმოადგინა გასული 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები, რომელიც განხილულ იქნა სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 19 ივნისის სხდომაზე (ოქმი N4). ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სამოქმედო გეგმის შედეგების ანალიზსა და თვითშეფასებას. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი 1.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, მეთოდოლოგიის დოკუმენტის (მუხლი 9, პუნქტი 4) შესაბამისად მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და აქტივობებს, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ

ერთეულებს, აქტივობების შესრულების ვადებს, შესრულების ინდიკატორებს და რესურსებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ჯგუფი მიიჩნევს, რომ ყველა ამოცანის შესაბამისი აქტივობის განხორციელების ვადები რეალისტურია. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი 1.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1, N2; (2023 წლის 03 სექტემბერი);
- 2023 წლის 22 სექტემბრის პედაგოგიურ საბჭოს N7სხდომის ოქმი;
- 2023 წლის 25 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს N11 სხდომის ოქმი.
- 2023-2030 წლის სტრატეგიული გეგმა;
- პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 09 სექტემბრის სხდომის ოქმი N5;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები;
- სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 19 ივნისის სხდომის ოქმი N4;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე-11 თავი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიმზებს, რომლის თანახმად სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ, ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე სამეურვეო საბჭოს სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. **ინდიკატორი 1.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის დოკუმენტით არის განსაზღვრული (მუხლი 11. პუნქტი 3) სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი. სამოქმედო გეგმის მონიტორინგს ახორციელებს სამეურვეო საბჭო. მონიტორინგისთვის სკოლაში გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. შესაბამისად, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას და შეიძლებოდა მხოლოდ მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს განეხორციელებინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა უკვე გასული სასწავლო წლის (2024-2025 სასწავლო წლის) სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც ამავდროულად საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერებული პირისთვის. ვიზიტის პერიოდში მშობლებთან გასაუბრებისას ასევე გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ხარისხი და დამოკიდებულება სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებითაც დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები სკოლის მიერ გააზრებული და რეალისტურად შეფასებულია. **ინდიკატორი 1.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა.**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გასაჯაროების მექანიზმები (მუხლი 12), კერძოდ: ეს შეიძლება განხორციელდეს: სკოლის ვებგვერდის, ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელის მეშვეობით ან სკოლის სტენდი/საინფორმაციო დაფის მეშვეობით. სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების საჯაროობის მიზნით სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია 2024-2025 წლის

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების შედეგები. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დგინდება, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები განხილულია სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 1.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2025 წლის 19 ივნისის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (ოქმი N4) მოხდა სკოლის განვითარების 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის საკითხის განხილვა. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდა სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების ანალიზი. გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომელიც ვერ განხორციელდა, თუმცა, როგორც ოქმში ვკითხულობთ და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითაც დასტურდება, სკოლისთვის ისინი პრიორიტეტული ხდება მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში. **ინდიკატორი 1.2.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის 19 ივნისის სამეურვეო საბჭოს სხდომა (ოქმი N4);
- სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1, N2; (2023 წლის 03 სექტემბერი);
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- 2023-2030 წლის სტრატეგიული გეგმა;
- პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 09 სექტემბრის სხდომის ოქმი N5;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები;
- სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 19 ივნისის სხდომის ოქმი N4;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

დაწესებულებამ ორგანიზაციული წყობა წარმოადგინა გრაფიკული სახით (ორგანოგრამა) (ბრძ. N2-395/1; 15.09.2025წ.), რომელიც განსაზღვრავს სკოლაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს, ხოლო სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა დაზუსტებულია სკოლის საშტატო განრიგით (ბრძ. N2-69; 13.03.2025წ). გრაფიკული სახით წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურიდან ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს ანგარიშვალდებულების სისტემა, განსაზღვრულია ვინ ვის დაქვემდებარებაშია და ვის წინაშეა უშუალოდ ანგარიშვალდებული. სკოლის მიერ განსაზღვრული თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობა დაზუსტებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.), ასევე სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტში (ბრძ.N 2-115 27.02.2026წ.).

სკოლის თანამდებობრივი სტრუქტურა შედგება: სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლებისაგან (88), მათ შორის სპეც.მასწავლებლებისგან (7). სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის 3 მოადგილისა და ბუღალტრისაგან. სკოლის ადმინისტრაცია შედგება საქმისმწარმოებლის, საინფორმაციო მენეჯერისა და ბიბლიოთეკარისგან. ტექნიკურ პერსონალს მიეკუთვნება: მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, დამლაგებლები (4), მუშა(1), ცეცხლფარეში (1), დარაჯი (3). სკოლას საშტატო ნუსხით სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში

მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ჰყავს ასევე ფსიქოლოგი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი (5), ენისა და მეტყველების სპეციალისტი (1) და ექიმი, რომელიც სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა.

სკოლის სტრუქტურისა და წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები და რგოლები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები (8), მრჩეველთა საბჭო.

დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება საჯარო სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. როგორც ექსპერტთა მიერ ვიზიტის პერიოდში დადგინდა, სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მოცემული იყო ექიმის თანამდებობრივი ინსტრუქცია, ასევე დამტკიცებული იყო საშტატო განრიგითაც, თუმცა **არ იყო ასახული სკოლის სტრუქტურაში (ორგანოგრამაში).**

სკოლამ **არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე განახლებული სკოლის ორგანოგრამა,** რომელშიც გათვალისწიებულია სამედიცინო პერსონალი, როგორც სკოლის სტრუქტურული ერთეული/პოზიცია. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და მიიჩნევს, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია და <u>ინდიკატორის შეფასება არის სრული შესაბამისობით.</u> **ინდიკატორი N3.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N2-111; 26/02/2026წ.), რომელიც არეგულირებს და განსაზღვრავს სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილებას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის საგანამანათლებლო მომსახურების გაწევას. სკოლაში მიმდინარე პროცესების განხორციელებას ხელს უწყობს ისეთი მარეგულირებელი დოკუმენტები, როგორებიცაა სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვა. სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებშიც კონკრეტული მიზნების, ამოცანებისა და აქტივობებისთვის განსაზღვრულია კონკრეტული პასუხისმგებელი პირები, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები შეესაბამება პოზიციით განსაზღვრულ თანამდებობრივ აღწერილობას. სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ მათ შორის დამყარებულია ჯანსაღი, შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობა, რაც დადებითად აისახება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე. თითოეული

თანამშრომელი თავისი ფუნქცია-მოვალეობის ფარგლებში აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. განიხლავენ და აჯამებენ მიმდინარე პროცესებს. წლის დასაწყისში სტრუქტურული ერთეულები (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრა) გეგმავენ წლის განმავლობაში გასატარებელ ღონისძიებებს, ხოლო წლის ბოლოს წარადგენენ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ. **ინდიკატორი 3.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N2-111; 26/02/2026წ.);
- 26.02.2026 N2-111 ბრძანება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.) ცვლილების შეტანის შესახებ;
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები (ბრძ.N 2-115 27.02.2026წ.);
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- საშტატო განრიგი;
- სკოლის სტრუქტურა (ორგანოგრამა) (ბრძ. N2-395/1; 15.09.2025);
- სკოლის შინაგანაწესი;
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმი;
- კათედრის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სამოქმედო გეგმა და ოქმები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ შემუშავებული არაერთი დოკუმენტი არეგულირებს სკოლაში პერსონალის მართვის პროცესებს. სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.), რომლითაც განსაზღვრულია: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ძირითადი მახასიათებელი; სკოლის ორგანიზაციული მოწყობა; სკოლის მართვის პროცესები; მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი; ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის დაწყებისა და გათავისუფლების წესი; სკოლის პერსონალის შეფასება და პროფესიული განვითარება; სკოლის სტრუქტურული ერთეულების მოწყობა და მათი სამუშაო რეგლამენტი; დისციპლინური კომიტეტის სამუშაო რეგლამენტი; სასკოლო კლუბები; ასევე სკოლაში პრაქტიკის გავლის წესი; ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის პერსონალის სამუშაო აღწერილობა.

პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის ნორმებსა და წესებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს, რომელზეც ხელმოწერით დასტურდება დასაქმებულის მიერ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება კონკურსის წესით. ღია კონკურსის შემთხვევაში განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება მასწავლებლის დასაქმების გვერდზე https://teacherjobs.ge/. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა საკონკურსო მასალა და დადგინდა, რომ შერჩევა განხორციელდა შესაბამისი რეგულაციების დაცვით. სკოლაში დასაქმებულია ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემით“ განსაზღვრული სტატუსის მასწავლებლები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად ხდება თანამშრომელთა წახალისება.

სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის გათვალისწინებით. სკოლას ყველა თანამშრომელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება და ასევე (საჭიროების შესაბამისად) შეთანხმება ორ სხვადასხვა დაწესებულებაში ან/და სკოლაში 2 პოზიციაზე მყოფ პირებთან საქართველოს მთავრობის 2025 წლის 28 ოქტომბრის N482 დადგენილების შესაბამისად.

აღნიშნული ტიპის შეთანხმებები დაწესებულებამ წარმოადგინა ვიზიტის პერიოდში. მასწავლებლებთან დადებულია შრომითი ხელშეკრულებები მათი სტატუსის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 11 ოქტომბრის N959 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების“ შესაბამისად. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი (მუხლი 4), სადაც გაწერილია სამსახურში არგამოცხადების შემთხვევაში შეტყობინების ვადები და პროცედურები.

ასევე სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.) გათვალისწინებულია დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ფუნქციების დელეგირების მექანიზმები (მუხლი 15). პედაგოგიური, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური პერსონალის დროებით ჩანაცვლების აუცილებლობის შემთხვევაში, სკოლა ახდენს მყისიერ რეაგირებას, რის გამოც სასკოლო პროცესის შეფერხება არ ხდება. სკოლაში მასწავლებლის წინასწარ ცნობილი ან გაუთვალისწინებელი გაცდენის შეთხვევაში, სკოლის დირექტორის მოადგილე აკეთებს საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიცირებას, გაკვეთილების გადანაცვლებას, იმავე საგნის თავისუფალი მასწავლებლის/სხვა მასწავლებლის/დამრიგებლის ჩანაცვლებას გაკვეთილზე. დოკუმენტში გაწერილი რეგულაციები დასტურდება სკოლის პრაქტიკიდანაც, რასაც ექსპერტებთან საუბარში აღნიშნავდა სასკოლო საზოგადოებაც, მათ შორის თავად მოსწავლეები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი (ბრძ.N2-629; 23/12/2025წ.) არეგულირებს ვაკანსიის ან/და ახალი პოზიციის საჭიროების გაჩენის შემთხვევაში სკოლის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს. სკოლაში ადამიანური რესურსის საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა პოზიციაზე დანიშვნა ხდება ზემოაღნიშნული წესის მიხედვით.

სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს უფლებამოსილების ფარგლებში საჭირო გადაწყვეტილებებს რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ.

სკოლის შინაგანაწესი და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი უზრუნველყოფს

საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ინტერვენციებს, რაც პერსონალის მართვის კუთხით მნიშვნელოვანია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურების სკოლაში რეგულირდება სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.). აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი (თავი IV) და ასევე ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის დაწყებისა და გათავისუფლების წესი (თავი V). სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო საკონკურსო მასალები, რომლითაც დასტურდებოდა კანომდებლობის შესაბამისი პროცესების განხორციელება. სკოლის მიერ კონკურსის შესახებ განაცხადი კონკურსის წესის მიხედვით არის განთავსებული https://teacherjobs.ge/.

სკოლას ასევე შემუშავებული ჰქონდა მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი (ბრძ.N2-629; 23/12/2025წ.), რომლის თანახმად (მუხლი 6, პუნქტი 9), თუ საკონკურსო კომისიამ ვერ შეარჩია შესაბამისი მასწავლებლობის კანდიდატი, სკოლამ შესაძლებელია აიყვანოს პირი მასწავლებლობის მაძიებლად, რომელსაც ექნება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, თუ მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში გაივლის მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამას. ამავდროულად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული რეგულაციების (მუხლი 30, პუნქტი 2) თანახმად, ,,სკოლაში საქმიანობის 1 წლის ვადაში თუ მაძიებელმა მასწავლებელმა ვერ აიმაღლა სტატუსი, სკოლა უფლებამოსილია შეუწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება და გამოაცხადოს ახალი ვაკანსია“;

ექსპერტთა აზრით, ეს ორი ჩანაწერი ერთმანეთს ეწინააღმდეგება და ამას გარდა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 16 აგვისტოს N169/ნ ბრძანებით მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციის და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის წესისა და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ნიმუშისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,მასწავლებლობის მაძიებელი ვალდებულია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებისა და მასწავლებლის განათლებისთვის დადგენილი შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, გაიაროს მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებიდან 2 წლის განმავლობაში“. აქედან გამომდინარე, ეს საკითხი შესაბამისობაში იყო მოსაყვანი კანონმდებლობასთან და თავად სკოლის მიერ დამტკიცებულ რეგულაციებთან მიმართებაში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დაადგინა, რომ ეს იყო ტექნიკური უზუსტობა, რამდენადაც, სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლა იცავდა

კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეგულაციებს მაძიებელთან დაკავშირებით. ამიტომ სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე ცვლილება შეიტანა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (ბრძ. N2-111; 26/02/2026წ.) და მაძიებელთან დაკავშირებით საკითხი შესაბამისობაში მოიყვანა მოქმედ კანონმდებლობასთან.

სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.) მიხედვით სკოლას განსაზღვრული ჰქონდა პირადი საქმის სავალდებულო შემადგენელი დოკუმენტები, რომელთა შორის არ იყო აღნიშნული ,,ზოგადი განათლების შესახებ" კანონის მუხლი 33[1]. გათვალისწინებული სავალდებულო ცნობები ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" და ,,უფლების ჩამორთმევის შესახებ". ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ შემთხვევითობის პრინციპით შემოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და დადგინა, რომ პირადი საქმეები მოიცავს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, თუმცა **2020 წლიდან დასაქმებულთა პირად საქმეში არ იყო განთავსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ,,უფლების ჩამორთმევის" ცნობები.** დაწესებულებამ ექსპერტთა რეკომენდაციით ვიზიტის პერიოდშივე ცვლილება შეიტანა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის (ბრძ. N2-111; 26/02/2026წ.) მუხლი 45, პუნქტი 3-ში, რითაც შესაბამისობაში მოვიდა კანონმდებლობასთან.

დაწესებულებამ **არგუმენტირებული პოზიციის სახით** წარმოადგინა თანამშრომელთა ცნობები ,,უფლების ჩამორთმევის შესახებ". რამდენადაც ხარვეზი აღმოფხვრილია, **<u>ინდიკატორი შეფასდა სრული შესაბამისობით,</u> ინდიკატორი N3.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.), რომლითაც განსაზღვრულია სკოლის პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (თავი XI). ვიზიტის პერიოდში როგორც ექსპერტთა მიერ დადგინდა, აღნიშნულ დოკუმენტში საკვლიფიკაციო მოთხოვნები არ იყო აღწერილი და ეს ტექნიკური უზუსტობა იყო. ვიზიტის პერიოდში სკოლამ ცვლილება შეიტანა აღნიშნულ დოკუმენტში და წარმოადგინა სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტი (ბრძ.N 2-115 27.02.2026წ.).

ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების Eschool - ის ბაზა. როგორც გაირკვა, სკოლის მასწავლებლებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუსები და აკმაყოფილებენ „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით" განსაზღვრულ მოთხოვნებს. emis-ის ბაზის შესწავლის შედეგად ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია: 65 უფროსი

მასწავლებელი; წამყვანი-19; მენტორი-2; მოწვეული-6 (მათ შორის 2 უფროსი, 2 წამყვანი და 1 მენტორი); 7 სპეციალური მასწავლებელი; 3 ინტეგრირებული კლასის სპეციალური მასწავლებელი; 5 სსსმ მოსწავლის ასისტენტი, 1 ფსიქოლოგი. მოწვეული მასწავლებლებთან დაცულია კანონმდებლობით გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა და ყველა მათგანს აქვს სტატუსი, გარდა **ერთი მოწვეული სამოქალაქო განათლების მასწავლებლისა (4 საათობრივი დატვირთვით), რომლის კვალიფიკაცია არ იყო კანონმდებლობის შესაბამისი.** ვიზიტის პერიოდში სკოლას არ გამოუცხადებია ვაკანსია აღნიშნულ პოზიციაზე, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი დაახარვეზა.

არგუმენტირებული პოზიციის სახით დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულება აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა ბრძანება სამოქალაქო განათლების მოწვეულ მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ (ბრძ. N1-13; 27.03.2026წ.) და მისი საათების (4სთ) არსებულ თანამშრომელზე გადანაწილების შესახებ (ბრძ. N1-14; 27.03.2026წ.). ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და მიიჩნევს, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ დასკვნის პროექტში ინდიკატორი „არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ **<u>ინდიკატორი შეფასდა „სრული“ შესაბამისობით.</u> ინდიკატორი N3.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ სასკოლო საზოგადოებასთან (სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები) გასაუბრებითა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება სკოლაში შექმნილი თანამშრომლობითი გარემო. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლაში სამუშაო ჯგუფებში მონაწილოებენ სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრები, რაც პერსონალის მართვაში მათ თანამონაწილეობას უზრუნველყოფს. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები (8), პედაგოგიური, სამეურვეო და მრჩეველთა საბჭოები, რომლებიც პერიოდულად იკრიბებიან და ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ, მსჯელობენ და შეიმუშავებენ სხვადასხვა სასკოლო დოკუმენტებს. **ინდიკატორი 3.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, რაც განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით (მუხლი 10). აღნიშნული რეგულაციებით განსაზღვრულია წახალისების სახეები და გამოყენების წესი. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული

ვალდებულებების მაღალ პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საჯარო შეხვედრებზე ხდება წარმატებული მასწავლებლების წარდგენა და მადლობის გამოცხადება. სკოლამ წარმოადგინა ფულადი პრემიის გაცემის ბრძანება (ბრძ.N2-649; 25.12.2025.), რომელიც სკოლის თანამშრომლებს გადაეცათ პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის. **ინდიკატორი 3.1.2.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N2-111; 26/02/2026წ.);
- 26.02.2026 N2-111 ბრძანება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.) ცვლილების შეტანის შესახებ;
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები (ბრძ.N 2-115 27.02.2026წ.);
- მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი (ბრძ.N2-629; 23/12/2025წ.);
- საკონკურსო მასალები;
- საშტატო განრიგი;
- სკოლის სტრუქტურა (ორგანოგრამა) (ბრძ. N2-395/1; 15.09.2025);
- სკოლის შინაგანაწესი;
- კათედრის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;

- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- შრომითი ცხელშეკრულებები;
- eSchool-ის ბაზიდან ჩამოტვირთული თანამშრომლების სია;
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმი;
- მასწავლებლის განცხადება ,,კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონმდებლობის ფარგლებში შეთავსებადი სამსახურის ნებართვის შესახებ (31/10/2025 MES 9 25 0001478755; პასუხი 03/11/2025; MES 9 25 0001492173);
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 25დეკემბრის №2-649 ბრძანება ფულადი პრემიის გაცემაზე;
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის რუსთავის N21 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება სამოქალაქო განათლების მოწვეულ მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ (ბრძ. N1-13; 27.03.2026წ.);
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის რუსთავის N21 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება სამოქალაქო განათლების მასწავლებლის საათების (4სთ) არსებულ თანამშრომელზე გადანაწილების შესახებ (ბრძ. N1-14; 27.03.2026წ.).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.), რომლის თავი VI (მუხლი 50; 51; 52; 53) განსაზღვრავს სკოლის პერსონალის შეფასების პროცესს. სკოლაში მოქმედებს პერსონალის (გარდა მასწავლებლისა) შეფასების არაფორმალური ფორმა, რომლის მიზანია თანამშრომელთა შრომითი ეფექტიანობის ზრდა; თანამშრომელთა პროფესიული განვითარების შესაძლებლობის შეთავაზება; ასევე გამოვლენილ ხარვეზებზე დროული რეაგირება. არაფორმალური შეფასება შეიძლება განხორციელდეს ყოველდღიურად, ყოველკვირეულად ან ყოველთვიურად, რაც დამოკიდებულია სამუშაოს სპეციფიკაზე. ამავე დოკუმენტით დადგინდა, რომ არაფორმალური შეფასების შედეგად მიღებული შედეგების აღრიცხვა არაფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან ჩანაწერები (ასეთის არებობის შემთხვევაში) არ ინახება თანამშრომლის პირად საქმეში. რაც შეეხება მასწავლებლებს, მათი შეფასება ხორციელდება სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის №21 საჯარო სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის სამუშაო დებულების (ბრძ.N2-628; 22/12/2025წ.) შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც აწარმოებს საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს, ამოწმებს მასწავლებლის მიერ კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების უნარს. ასევე საერთო ვითარების გამოვლენის მიზნით აკეთებს ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. პერსონალის შესრულებული სამუშაოს შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით: შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; თვითშეფასება; შესაბამისი კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასება; სამუშაო პროცესზე/საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება და სხვ. სკოლას შემუშვებული აქვს გაკვეთილზე დასწრების ფორმებიც. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად შესაძლებელია დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები. მათ შორის: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება; სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება; მასწავლებელთა გადამზადება და ა.შ. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს და გააზრებულად იყენებს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს სკოლის რეგულაციებს შესაბამისად. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები-სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.), ხარისხის განვითარებისა და

პროფესიული მხარდამჭერის სამუშაო დებულება (ბრძ.N2-628; 22/12/2025წ.), კათედრის დებულება და სხვ. იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს პერსონალის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის კითხვარების შედეგები და ანგარიში, ასევე მათი ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას და აღნიშნული ინდიკატორი ამ ეტაპზე არ ფასდება, ექსპერტთა ჯგუფი წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სკოლას უკვე აქვს გამოცდილება მოახდინოს საჭიროებების იდენტიფიცირება და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შეიმუშაოს გეგმა, რაც ხელს შეუწყობს პერსონალის განვითარებას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

ვიზიტის პერიოდში, სკოლას არ ჰყავდა მასწავლებელი სტატუსის გარეშე და დასაქმებული ჰყავს ყველა სტატუსის მქონე პედაგოგი, რაც დასტურებოდა emis-ის მონაცემებითაც. როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუთი გაირკვა, პერსონალი მუდმივად იღებს სკოლისგან ინფორმაციას ტრენინგების შესახებ, კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, რაც ემსახურება კარიერულ ზრდას. სკოლაში არსებული მასწავლებელთა ხარისხის განვითარების ჯგუფი ეხმარება მასწავლებლებს პროფესიულ ზრდაში. კერძოდ, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების შემდეგ ჯგუფის წევრები მასწავლებელთან ერთად განიხილავენ დაკვირვების შედეგებს და აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე.

უნდა აღნიშნოს სკოლის გამოცდილება პრაქტიკანტებთან მუშაობის კუთხით, რომელთანაც თანამშრომლობის პროცესი რეგულირდება სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.) მე-10 თავით. ამასთანავე სკოლას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული ა(ა)იპ საქართველოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან (19.11.2025) მასწავლებლების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების პედაგოგიური პრაქტიკით უზრუნველყოფის მიზნით. 15.10.2025წ. მემორანდუმი გაფორმდა სოხუმის უნივერსიტეტთან განათლების ფაკულტეტის საგანამანთლებლო პროგრამებში არსებული პრაქტიკის კურსის ფარგლებში პედაგოგიური პრაქტიკის ფორმით და სახელმწიფო სტაჟირებაზე თანამშრომლობის შესახებ. მემორანდუმის ფარგლებში პრიორიტეტულია განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანმანათლებლო პროგრამის სუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშეწყობა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებში. 2024 წელს რუსთავის მე-20 სკოლასთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმი ვერიფიკაციის ნაწილში და კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო აქტივობებში ურთიერთთანამშრომლობის მიზნით. როგორც სკოლის ანგარიშში იყო წარმოდგენილი, სკოლამ 5 პრაქტიკანტს უმასპინძლა და ეს პროცესი ორიენტირებულია მომავალი თაობის პროფესიული უნარების განვითარებაზეც. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

თანამშრომელთა ინტეგრაციის პროცესი სკოლაში რეგულირდება სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქ. რუსთავის N21 საჯარო სკოლის ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესის დოკუმენტით (ბრძ.N2-624; 22/12/2025წ.). თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები და შესაბამისი აქტივობები, ასევე გაწერილია ახალი თანამშრომლის სკოლაში ადაპტაციისას სხვა თანამშორმელთა ვალდებულებები. ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება შესაბამის კათედრაზე ან და პედსაბჭოზე, ასევე ინფორმირება ხდება სკოლაში მიმდინარე სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების შესახებ. სხვა პერსონალის შემთხვევაში კი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთან, სადაც გუნდის ახალ წევრს აცნობენ სკოლაში დამკვიდრებულ ტრადიციებსა და წესებს. საქმისწმარმოებელს ევალება ახალი თანამშრომლისთვის Eflow-სა და Eschool-ის ბაზებში მომხმარებლის პროფილის შექმნისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება; ელექტრონულ ჟურნალში პროფილის შექმნა; ხდება ახალი თანამშრომლის გაწევრიანება საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში და სხვ.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა იმ გარემოებით, რომ 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების შეფასებისას სკოლის მიერ თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის დანერგვა დაწესებულებამ შეაფასა როგორც ,,ნაწილობრივ" შესრულებული. ამასთან დაკავშირებით, სკოლის დირექციამ აღნიშნა, რომ ეს შეფასება გაკეთდა იმ მოცემულობიდან გამომდინარე, რაც უკავშირდებოდა სკოლის შენობის რეაბილიტაციის პერიოდს, კერძოდ, სხვა სკოლაში დროებით სასწავლო პროცესის განხორცილებას. თუმცა ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება ის, რომ სკოლა ყოველთვის ორიენტირებულია შექმნას თანამშრომლობითი და პოზიტიური გარემო. **ინდიკატორი 3.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის შინაგანაწესის (მუხლი 10) თანახმად, სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ინიციატივები პერსონალის მხრიდან ძირითადად გამოიკვეთება ზეპირსიტყვიერად, თუმცა დოკუმენტის მე-10 მუხლის პუნქტი 4-ის თანახმად, დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დირექტორის მოადგილე /შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების

წახალისების თხოვნით. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმებად გათვალისწინებულია: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. სკოლის მიერ შეთავაზებული წახალისების სისტემა დასაქმებულებისთვის ქმნის მოტივაციას იყვნენ აქტიურები და განვითარდნენ პროფესიულად. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დასაქმებულებს საშუალება ეძლევათ დააფიქსირონ რა სახის დახმარება ესაჭიროებათ პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლის დირექტორის მიერ წახალისების მიზნით მიმდინარე სასწავლო წელს თანამშრომლებისთვის ერთჯერადად გაიცა (ფულადი) პრემია. **ინდიკატორი 3.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N2-111; 26/02/2026წ.);
- 26.02.2026 N2-111 ბრძანება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.) ცვლილების შეტანის შესახებ;
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.),
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი (ბრძ.N2-624; 22/12/2025წ.);
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის სამუშაო დებულება (ბრძ.N2-628; 22/12/2025წ.);
- სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 09 დეკემბრის სხდომის ოქმი N12;
- კათედრის ოქმები;
- მემორანდუმები: ა(ა)იპ საქართველოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან (19.11.2025); სოხუმის უნივერსიტეტთან (15.10.2025); რუსთავის მე-20 სკოლასთან (2024წ);
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 25დეკემბრის №2-649 ბრძანება ფულადი პრემიის გაცემაზე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლა ხარისხის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით (ბრძ.N2-628/1; 22/12/2025წ.), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლის მისიის განხორციელებას, სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივ სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათ განვითარებას. დოკუმენტით განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, ასევე აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის წესი. დეტალურად არის მოცემული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. შიდა შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი მოიცავს ,,დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ პრინციპებს. მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ე.წ დემინგის ციკლის შესაბამისად. დაკონკრეტებულია შემოწმების საფუძველზე შედგენილ დასკვნაში შესატანი აუცილებელი ინფორმაცია. დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის მართვის შიდა და გარე

მექანიზმების არსებობას, ასევე აღწერს ძირითადსა და დამხმარე პროცესებს. **ინდიკატორი 3.3.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ.N2-628/1; 22/12/2025წ.) გვაწვდის ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების შესახებ. პროცესები აღწერილია შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვა აღწერილია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით, ხარისხის უზრუნველყოფაზე მექანიზმებით აღწერილია სკოლის მმართველობითი პროცესები, ხოლო დამხმარე პროცესები აღწერილია: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, ბიბლიოთეკის მუშაობის დებულებით, საქმისწარმოების წესით და სხვა. სკოლას გააზრებული აქვს საგანმანათლებლო პროცესების სწორად და ხარისხიანად წარმართვისათვის მმართველობითი და ძირითადი პროცესების ურთიერთგავლენა და მნიშვნელობა. **ინდიკატორი 3.3.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის მიერ წარმოდგენილია სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურის დოკუმენტი (ბრძ. N2-620). აღნიშნული დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე. დოკუმენტი აღწერს საჩივრის წარდგენის ფორმას, ვადებს. განსაზღვრულია სხვადასხვა გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით გასაჩივრების წესი, მაგ: დადგენილია დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრების ზოგადი წესი და ვადები. ასევე მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრება პირს შეუძლია კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. დოკუმენტის თანახმად (მუხლი12), სამეურვეო საბჭოს მიერ შეიძლება მოხდეს სააპელაციო კომიტეტის შექმნა და განხორციელდეს სააპელაციო კომიტეტის მიერ საჩივრის განხილვა და ა.შ. მოსწავლეებს საშუალება აქვთ ასევე სკოლაში ჩატარებული გამოცდების პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებული საკითხები გაასაჩივრონ გამოცდის ჩატარებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო გამოცდის შედეგებთან დაკავშირებული საკითხები დირექტორის მიერ შედეგების დამტკიცების ბრძანების გამოცემიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული საჩივრდება სკოლის დირექტორთან.

როგორც ექსპერტების მიერ მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, სასწავლო პროცესის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ხდება კლასის დამრიგებლების მიერ მოსწავლის მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის მათი უფლებებისა და მოვალეობებისა და შინაგანაწესის გაცნობა. ასევე, სასკოლო საზოგადოება

ეცნობა სკოლის შინაგანაწესს. სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების სურვილის შემთხვევაში, ასევე, საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის მოქმედებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი დისციპლინური გადაცდომების განსახილველად. დისციპლინურ კომიტეტში თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი მოსწავლეები (მოსწავლეთა თვითმმართველობის წარდგენით), მშობლები (სამეურვეო საბჭოს წარდგენით), მასწავლებლები (პედსაბჭოს წარდგენით); სკოლის შინაგანაწესში მკაფიოდ არის გაწერილი დისციპლინური სახდელები და დარღვევათა ტიპები. გარდა ამისა, სკოლასა და მშობელს შორის წარმოქმნილი დავის რეგულირება მოცემულია სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. **ინდიკატორი 3.3.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“ (ბრძ. N2-639; 24/12/2025წ.), რომლის თანახმად, სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი; სკოლას ჰყავს 5 მანდატური, ასევე უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი; თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი; სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დასტურდება ხელშეკრულების და შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი. სკოლას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ნებართვაზე თანამშრომლებთან და მშობლებთან გაფორმებული აქვს შეთანხმება. **ინდიკატორი 3.3.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ.N2-628/1; 22/12/2025წ.);
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა (ბრძ. N2-620);

- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N2-111; 26/02/2026წ.);
- 26.02.2026 N2-111 ბრძანება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.) ცვლილების შეტანის შესახებ;
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.);
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი (ბრძ.N2-624; 22/12/2025წ.);
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის სამუშაო დებულება (ბრძ.N2-628; 22/12/2025წ.);
- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“ (ბრძ.N2-639; 24/12/2025წ.);
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის ვებგვერდი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი (ბრძ.N2-644; 24/12/2025წ.), რომელშიც გაწერილია შიდა და გარე კომუნიკაციის სტრატეგიები, ასევე საზოგადოების წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმები და პრინციპები. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. სკოლა საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციისას ასევე ხელმძღვანელობს

მოსწავლეთა მშობელთან ურთიერთობის დებულების შესაბამისად (ბრძ.N2-637; 24/12/2025წ.). მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება: მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით), ასევე ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით;
სკოლის დირექციის, მასწავლებლების, მშობლების განმარტებით მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის ოფიციალურ სოციალურ გვერდს. სკოლის მიერ სოციალური გვერდის საშუალებით ვრცელდება მართვის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაცია და ამავე საშუალებით ხდება უკუკავშირის მიღება. სკოლას აქვს ვებგვერდი (skolebi.emis.ge - ერთიანი პორტალი).
სკოლას სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გამოცდილება აქვს, რასაც მოწმობს სკოლის ფილოსოფიისა თუ სხვა დოკუმენტებზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, კერძოდ კვლევები და გამოკითხვები forms - კითხვარის საშუალებით, ასევე მშობელთა კრებებზე და დამრიგებლის საათზე განხილული საკითხებთან მიმართებაში მათგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბება. სკოლის ვებგვერდზე და სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში, გაზიარებულ იქნა დოკუმენტების სამუშაო ვერსიები, სადაც პირდაპირი მითითება იყო, სკოლის საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისგან რეკომენდაციების მიღება. მტკიცებულებები წარმოდგენილია ოქმებისა და კითხვარის სახით. გარდა ამისა, ამის მტკიცებულებად ისიც კი დასახელდა ინტერვიუს დროს სკოლის მხრიდან, რომ რეაბილიტაციის პროცესში სხვა სკოლის შენობაში მშობლების თხოვნით სკოლამ კოსმეტიკურად შეაკეთა მასპინძელი სკოლის საკლასო სივრცეები, სადაც ამის საჭიროება იდგა. ამ ფაქტს მშობლები დიდი მადლიერებით აღნიშნავდენენ ექსპერტებთან გასაუბრებისას, რამდენადაც სკოლამ მიღებულ უკუკავშირზე გააკეთა მყისიერი რეაგირება, რაც ემსახურებოდა მოსწავლეთათვის კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.3.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი მტკიცებულებები და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების (მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების) მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. სკოლის სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში პედაგოგებთან ერთად მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეები არიან წარმოდგენილები. მოსწავლეთა

თვითმმართველობა არჩევითი ორგანოა, რომელიც ასევე მონაწილეობს სასკოლო ცხოვრებაში და სხვადასხვა ინიციატივების განხორციელებაში.

სამეურვეო საბჭოს საქმიანობა დადასტურებულია შესაბამისი სხდომების ოქმებით. წარმოდგენილია მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ჩატარებული შეხვედრების ოქმები, სადაც ჩანს ინიციატივების განხილვა და განხორციელება. მოსწავლეებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ თვითმმართველობის წევრები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის მმართველობით პროცესებში. მათ მიერ ინიცირებული საკითხები, მათ შორის კლუბების შექმნა, სკოლამ გაითვალისწინა. მშობლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, მათი ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. **ინდიკატორი 3.3.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.),
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი (ბრძ.N2-624; 22/12/2025წ.);
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის სამუშაო დებულება (ბრძ.N2-628; 22/12/2025წ.);
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი (ბრძ.N2-644; 24/12/2025წ.);
- მშობელთან ურთიერთობის დებულება (ბრძ.N2-637; 24/12/2025წ.);
- კითხვარები და მათ ანალიზის შედეგები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- თვითმართველობის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლას გამოყოფილი ჰყავს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი დირექტორის ბრძანებით (ბრძ. N2-451; 11.09.2024). საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფს 5 მანდატური, რომლებიც ახდენენ დარღვევების იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფენ სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ამის გარდა, სკოლას ჰყავს 3 დარაჯი და მორიგე პედაგოგები. ვიზიტის პერიოდში სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე არ ხორციელდებოდა ვიდეომეთვალყურეობა, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა 22.01.2026 წლის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტის კორესპონდენცია (MES 2 26 0000050743), რომლის თანახმად ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების განთავსება/დამონტაჟება გათვალისწინებულია ეტაპობრივად, რამდენადაც აღნიშნული მიმართულება შედის სამომავლო ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების გეგმაში. აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ მანდატურის სამსახურის უფლება-მოვალეობაში შედის ამ საკითხის უზრუნველყოფა. შენობის შესასვლელში უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის აღრიცხვას სკოლაში აწარმოებს დარაჯი. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, მოსწავლეებისათვის

მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის ხელმძღვანელების მიერ კლასის საათზე. მოსწავლეებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ იცნობდნენ თავიანთ უფლებებსა და წესებს. სკოლის გარე პერიმეტრი სრულად შემოღობილია და დაცულია ფიზიკური უსაფრთხოება.

- ☑ დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის **უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი** (ბრძ.N2-655; 25/12/2025წ.), რომელიც შემუშავებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად და მოიცავს სასკოლო პერიოდში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციულ და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს;
- ☑ სკოლას უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული და დამტკიცებული აქვს **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა** (ბრძ.N2-643; 24/12/2025წ.). დაწესებულებამ წარმოადგინა შეთანხმების წერილიც (27/01/2026; MIA 8 26 00269512). სკოლას დამტკიცებული აქვს საგანგებო შტაბი;
- ☑ სკოლას გაკეთებული აქვს **მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ** (26/02/2026; MES 9 26 0000231910);
- ☑ სკოლა რეაბილიტირებულია მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. სკოლამ წარმოადგინა საქართველოს მუნიციპლაური განვითარების ფონდის დასკვნა, რომლის მიხედვით: სარეკონსტრუქციო შენობების საპროექტო დოკუმენტაცია შედგენილია შპს „NKY Georgia” , ს/კ 402192211 მიერ, პროექტი დაექსპერტებულია აკრედიტირებული ერთიანი ეროვნული ორგანოს აკრედიტაციის ცენტრის მიერ შპს „ექსპერტიზა“-ს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, გარდა ამისა, დამატებით საპროექტო სამუშაოებისა, ჩატარებულია გამაგრებითი სამუშაოები შენობების მზიდი ელემენტების გასაძლიერებლად ან სრულად შესაცვლელად შენობების სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების მიმდინარეობის პროცესით გამოვლენილი ხარვეზების შედეგიდან გამომდინარე. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე არსებული შენობების კომპლექსის გასაძლიერებლად ჩატარებული სამუშაოები შესრულებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით და გამიზნულია შენობების არსებული მზიდი კონსტრუქციების მდგრადუნარიანობის გასაზრდელად არსებული ამორტიზირებული ნაგებობებისა თუ ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების გაძლიერების ან სრულად შეცვლის გზით, რაც სარეკონსტრუქციო სამუშაოებით არის მაქსიმალურად მიღწეული. შესაბამისად სკოლას აქვს **შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა;**

☑ სკოლას **<u>არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი</u>** და დაწესებულებამ ექსპერტებისგან მიიღო **რჩევა: სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა აკრედიტებულ ორგანიზაციაში;**

სკოლას შშმ პირთა გადაადგილებისთვის აქვს ლიფტი. როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სკოლა გეგმავს ლიფტის უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით მოიძოს შესაბამისი სამსახური. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი 3.4.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი (ბრძ. N2-645; 24.12.2025წ.). ასევე შემუშავებული აქვს დოკუმენტი სამედიცინო დახმარების მექანიზმი. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის დოკუმენტით განსაზღვრულია სამედიცინო დახმარების კაბინეტის მოწყობის წესი, სამედიცინო პერსონალის კომპეტენცია, პაციენტის უფლებები, აღჭურვილობების უსაფრთხოება.

სამედიცინო კაბინეტი განთავსებულია პირველ სართულზე. ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა სამედიცინო პერსონალი. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, სკოლას რამდენჯერმე ჰქონდა კონკურსი გამოცხადებული, თუმცა კონკურსი ჩაიშალა შესაბამისი კადრის არყოფნის გამო. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი საკონკურსო მასალები. ასევე https://teacherjobs.ge/?position=&subject=&class=&school=216317297&district= გააკეთა საკონკურსო განაცხადი. უნდა აღნიშნოს ის გარემოებაც, რომ სკოლა ითავისებდა რა იმ პასუხისმგებლობას, რაც პირველად დახმარებას უკავშირდება, ამ მიზნით უზრუნველყო რამდენიმე თანამშრომლის გადამზადება პირველადი დახმარების აღმოჩენის კუთხით. წარმოადგინა შესაბამისი სერტიფიკატები. გარდა ამისა, სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, სკოლა ოპერატიულად თანამშრომლობს შესაბამის სამედიცინო სამსახურებთან. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ **სკოლა ვერ უზრუნველყოფდა სამეციდინო მომსახურებას კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად (სკოლას არ ჰყავდა სამედიცინო პერსონალი), ინდიკატორი დახარვეზდა დასკვნის პროექტში.**

დაწესებულების მიერ **არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის გეგმა,** რომლის თანახმად დაწესებულება გეგმავს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს კვალიფიციური სამედიცინო კადრის აყვანა 2026 წლის 26 თებერვლიდან 2027 წლის 25 თებერვლამდე. სკოლას არაერთხელ ჰქონდა ვაკანსია გამოცხადებული, ბოლოს 2026 წლის 26 თებერვლიდან (პორტალზე TeacherJobs.ge) 2026 წლის 9 მარტამდე, რომელიც კადრის არარსებობის გამო ჩაიშალა. **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისად კვალიფიციური სამედიცინო კადრის**

აყვანა შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში (26.02.2026-25.02.2027). სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შესაბამისობის გეგმის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, რის გამოც **ინდიკატორი N3.4.1.2. შეფასდა როგორც „მეტწილი“.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური (5 მანდატური). სკოლას ჰყავს 3 დარაჯი, რომლებიც უცხო პირთა გადაადგილების კონტროლს ახორციელებენ სკოლის მთელ ტერიტორიაზე. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, გაწერილია სკოლაში აკრძალული ნივთები, რაც ცნობილია მოსწავლეებისათვის; დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური დევნის პროცედურები და დისციპლინური წარმოების წესი.

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იხილავს ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაციების შესრულებას, მართავს შეხვედრებს. მასწავლებლები უზრუნველოფენ წესრიგის დაცვას შესვენებებზე, რისთვისაც დერეფნებში გამოკრულია მორიგეობის განრიგი. ბავშვის სახლში გაშვება შენობიდან ხდება დამრიგებლის ჩართულობით. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. **ინდიკატორი 3.4.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

დაწესებულებაში ფსიქო-ემოციური უსაფრთხო გარემოს ფორმირების მიზნით შემუშავებულია და დამტკიცებულია ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. სკოლის მიერ შემუშავებული არაერთი მარეგულირებელი დოკუმენტი (მოსწავლის ადაპტაციის წესი ბრძ. N2-631; 23/12/2025წ.; მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი (ბრძ. N2-633; 23/12/2025წ.); მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი დოკუმენტი (ბრძ. № 2-634; 23/12/2025წ.); თანამშრომლის ადაპტაციის წესი (ბრძ.N2-624; 22/12/2025წ.); სადამრიგებლო პროგრამა და სხვ.) უზრუნველყოფს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. მანდატურის სამსახური ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში რეფერირებას, ჩართული არიან პროცესში სპეციალური მასწავლებლები; საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის გადამისამართება მოხდება მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში. სკოლა ვიზიტის პერიოდში საგანამანათლებლო მომსახურებას სთავაზობდა 73 სსსმ მოსწავლეს. სკოლას ჰყავს ინტეგრირებული კლასის ფსიქოლოგი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები: სპეციალური მასწავლებელი, ასისტენტები და ა.შ., რომლებიც უზრუნველყოფენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სადამრიგებლო საათის ფარგლებში ხდება

მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. კლასის დამრიგებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეთა პიროვნული განვითარების მხარდაჭერაში. სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს, სასწავლო გარემოს ემოციურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. ვიზიტის პერიოდში მშობლებთან და საბაზო/საშუალო საფეხურების მოსწავლეებთან ჩატარებული გასაუბრების დროს გამოხატული იყო კმაყოფილება სკოლაში შექმნილი, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შესახებ. **ინდიკატორი 3.4.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმის დოკუმენტი (ბრძ.N2-646; 24/12/2025წ.), რომლითაც უზრუნველყოფილია სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა. ვიზიტის დროისათვის სკოლის ტერიტორია იყო დასუფთავებული. ყოველი შესრულებული სამუშაოს აღრიცხვა ხდება სკოლის მიერ შემუშავებულ ფორმაში და დასტურდება დამლაგებლის ხელმოწერით. ვიზიტის პერიოდში სკოლას ემსახურებოდა 4 დამლაგებელი. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები გოგონებისა და ვაჟებისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლაში სველი წერტილები განთავსებულია ყველა სართულზე. ადაპტირებული სველი წერტილები განთავსებულია პირველ და მეორე სართულზე. დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სივრცეში/კარადაში, პირვანდელი შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის. **ინდიკატორი 3.4.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის პროცესები რეგულირდება სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დოკუმენტით (ბრძ.N2-640; 24/12/2025წ.). სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰყავდა პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი, თუმცა დირექტორის ბრძანებით სკოლას ჰყავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (ბრძ.2-264; 06.06.2023წ.); ვიზიტის პერიოოდში სკოლამ წარმოადგინა ქალაქ რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრში გაგზავნილი წერილი (26.02.2026. MES 7 26 0000230487) შუამდგომლობით სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლაში რესურსცენტრის შესაბამისი თანამშრომლის განსაზღვრის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განხორციელებას სკოლაში.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი, სკოლა ცდილობდა სასკოლო საზოგადოებაში ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას. ამისთვის სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი ციფრულ სამყაროში ქცევის გზამკვლევი მშობლებისა და მოსწავლეებისთვის (ბრძ.N2-658; 25/12/2025წ.), რომელიც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი სკოლის ვებგვერდზე. აღნიშნული დოკუმენტი პრევენციული ხასიათის მატარებელია, რამდენადაც მასში განმარტებულია ციფრული სამყაროს შესაძლო გამოწვევები და რა ზომებს შეიძლება მიმართოს მოსწავლემ/მშობელმა მათ გადასაჭრელად. გაწერილია საორიენტაციო რეკომენდაციები კიბერბულინგის დროს მოსწავლისთვის/მშობლისთვის. ამის გარდა, სკოლაში განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებში მეთორმეტე კლასის მოსწავლეებმა ჩაატარეს რამდენიმე საინფორმაციო და საგანმანათლებლო სესია. სესიები მოიცავდა პრეზენტაციებსა და დისკუსიებს კიბერუსაფრთხოების ძირითად საკითხებზე. ცალკე სესიები ჩატარდა X კლასის მოსწავლეებისთვის და ცალკე — სკოლის მასწავლებლებისთვის.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დოკუმენტით (ბრძ.N2-640; 24/12/2025წ.) განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის წესი და პასუხისმგებელი პირები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის კონფიდენციალურობას. სკოლას მიღებული აქვს მშობელთა და დასაქმებულ პირთა წერილობითი თანხმობა/დასტური პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. აღნიშნული დასტურდება მოსწავლეების, მშობლების ინტერვიუთი. ასევე მოსწავლეთა პირად საქმეში განთავსებული თანხმობის ფორმები. გამომდინარე იქიდან, რომ **სკოლას არ ჰყავდა პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი და მიუხედავად სკოლის მხრიდან პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით გაწეული აქტივობებისა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევდა, რომ ინდიკატორი არ აკმაყოფილებდა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დაწესებულებამ **არგუმენტირებული პოზიციის** სახით აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებად წარმოადგინა სსიპ-ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 06 მარტის ბრძანება ,,სსიპ-ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის და მისი სამუშაო აღწერილობის დამტკიცებს შესახებ“. ბრძანების თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად განისაზღვრა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და დასკვნის პროექტში დახარვეზებული ინდიკატორი წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ უკვე შეფასდა **,,სრული” შესაბამისობით. ინდიკატორი N3.4.1.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დოკუმენტი (ბრძ.N2-625; 22/12/2025წ.), რომლის მიზანია

უზრუნველყოს შეგროვებული ინფორმაციის დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. დოკუმენტი არეგულირებს სკოლის ინფორმაციის შეგროვების დაცვის სტრატეგიას, ინფორმაციის დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (ბრძ. N2-264; 06.06.2023წ.), რომელიც ვალდებულია ჩაატაროს სისტემატური შეხვედრები (დასწრებით/ონლაინ) სკოლაში დასაქმებულებთან/მოსწავლეებთან და გააცნოს ინფორმაციის დაცვის წესები. იგი ვალდებულია ინფორმაციის დამუშავებასთან/დაცვასთან დაკავშირებით დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს, შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით.

პირადი მონაცემების დაცვისთვის სკოლას ეხმარება პერსონალისა და მასწავლებელთა მონაცემების დაცვის სისტემები - eFlow, eSchool, ელ. ჟურნალი. სკოლაში დაინსტალირებული ანტივირუსული პროგრამები ლიცენზირებულია. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. სკოლის ელექტრონულ ჟურნალშიც მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს. საქმისმწარმოებელთან ინახება პირადი საქმეები. ვიზიტის პერიოდში პირველი სართულის ერთ-ერთ სველ წერტილში (რომელიც ადმინისტრაციის განმარტებით ყოველთვის დაკეტილია) განთავსებული იყო სკოლის ძველი დოკუმენტაცია. აღნიშნული გამოწვეული იყო იმით, რომ სკოლის რეაბლიტიაციის შემდგომ ვერ იქნა სათანადო ფართი მოძიებული. მაგრამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ქვემო ქართლის რეგიონალურ არქივში (10.01.2025; MES 0 25 0001866412) გაგზავნილი წერილი შუამდგომლობით, გაუწიოს არქივმა კონსულტაცია და დახმარება 2004 წლიდან 2020 წლამდე არსებული დოკუმენტაციის დამუშავებაში და არქივზე გადაცემაში. ექსპერტთა მიერ სკოლამ მიიღო რჩევა: სასურველია, სკოლამ დროულად უზრუნველყოს სველი წერტილიდან ძველი დოკუმენტაციის გატანა, დაარქივება და სივრცის განთავისუფლება. **არგუმენტირებული პოზიციის სახით** წარმოდგენილ წერილში სკოლა აღნიშნავს, რომ დოკუმენტაცია სრულად გატანილია აღნიშნული სივრციდან, დახარისხდა და განთავსდა შესაბამის საარქივო გარემოში, აღნიშნული რჩევის გათვალისწინების ფაქტი დასტურდება შესაბამისი ფოტომასალით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულია სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. **ინდიკატორი 3.4.1.7. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის რეკომენდაციების საფუძველზე სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებას. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რისთვისაც გამოიყენება კითხვარები, რომელთა ანალიზის საფუძველზე სკოლა შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი. უკუკავშირის ანალიზის შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი 3.4.1.8. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ.N2-655; 25/12/2025წ.);
- ბრძანება სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლაში უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი განსაზღვრის შესახებ (ბრძ. N2-451; 11.09.2024);
- 22.01.2026 წლის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტის კორესპონდენცია (MES 2 26 0000050743);
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (ბრძ.N2-643; 24/12/2025წ.);
- შპს „ექსპერტიზა“ ინსპექტირების ანგარიში (10.10.2022წ);
- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (25.12.2025);
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების კორესპონდენცია (27/01/2026; MIA 8 26 00269512);
- კორესპონდენცია შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (26/02/2026; MES 9 26 0000231910);
- საევაკუაციო გეგმები;
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი (ბრძ. N2-645; 24.12.2025წ.);
- სამედიცინო დახმარების მექანიზმი (ბრძ. N2-645; 24.12.2025წ.);

- საკონკურსო მასალები;
- სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმის დოკუმენტი (ბრძ.N2-646; 24/12/2025წ.);
- პირველადი დახმარების აღმოჩენის სწავლების დამადასტურებელი სერტიფიკატები;
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების დოკუმენტი (ბრძ.N2-640; 24/12/2025წ.);
- რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის კორესპონდენცია (26.02.2026. MES 7 26 0000230487);
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- მოსწავლეთა მიერ მომზადებული პროექტები;
- ციფრულ სამყაროში ქცევის გზამკვლევი მშობლებისა და მოსწავლეებისთვის (ბრძ.N2-658; 25/12/2025წ.);
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (ბრძ. N2-264; 06.06.2023წ.);
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის წესი და მონიტორინგის მექანიზმების დოკუმენტი (ბრძ. N2-625; 22/12/2025წ.);
- კორესპონდენცია ქართლის რეგიონალურ არქივში (10.01.2025; MES 0 25 0001866412);
- სსიპ-ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 06 მარტის ბრძანება ,,სსიპ-ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის და მისი სამუშაო აღწერილობის დამტკიცებს შესახებ“.
- შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა ახლად რეაბილიტირებულია სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ. საჯარო რეესტრის ამონაწერით, სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლა მდებარეობს რუსთავში გასასვლელი მესხიშვილი II, N3 განთავსებულ ოთხსართულიან შენობაში. დაზუსტებული ფართობია 7358კვ.მ. სკოლის შენობა (შენობა-ნაგებობები N1, N2, N3), შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა არსებობის ვადით. სკოლის ეზოში ასევე განთავსებულია საქვაბე, რომელშიც ვიზიტის პერიოდში განთავსებული იყო მუყაოს ყუთები (კომპიუტერების შეფუთვისგან დარჩენილი). ექსპერტთა მიერ სკოლამ მიიღო **რჩევა: სასურველია, უსაფრთხოების მიზნით საქვაბიდან გატანილ იქნას ყველა მალაალებადი ნივთი.**

სკოლაში სულ 28 საკლასო ოთახია (მათ შორის პირველ სართულზე-4 საკლასო ოთახი, მე-2 სართულზე-7, მე-3 სართულზე 9, მე-4 სართულზე-8). გარდა საკლასო ოთახებისა, სკოლაში არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ქიმია-ბიოლოგიისთვის პირველ სართულზე და მეორე სართულზე ფიზიკის კაბინეტი), კომპიუტერული ლაბორატორია (პირველ სართულზე), ბიბლიოთეკა (პირველ სართულზე), სააქტო დარბაზი, რესურსოთახი და ინტეგრირებული კლასი სსსმ მოსწავლეებისთვის (მე-2 სართულზე), სამასწავლებლო (მე-4 სართულზე), დირექტორის ოთახი (პირველ სართულზე), საქმისმწარმოებლის ოთახი (პირველ სართულზე), ექიმის კაბინეტი (პირველ სართულზე), მანდატურის ოთახი (პირველ სართულზე) და ბუღალტრის ოთახი (პირველ სართულზე), ბუფეტი (პირველ სართულზე), სპორტული დარბაზი (პირველ სართულზე), სპორტული ინვენტარის საწყობით და მასწავლებლის ოთახით, ასევე გასახდელებით ვაჟებისა და გოგონებისთვის. ოთხივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, ვაჟებისა და გოგონებისთვის. პირველ და მეორე სართულზეა ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ეზო რეკრეაციული ზონებით და სპორტული მოედანი. ინფრასტრუქტურის დათვალიერებისას დადგინდა მცირედი უზუსტობები აზომვით ნახაზთან, რაც რეაბილიტაციის პროცესიდან გამომდინარე იყო, ამიტომ სკოლამ ექსპერტთა მიერ მიიღო **რჩევა, მოხდეს აზომვითი ნახაზის განახლება.**

საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, სასწავლო დაფითა და კარადით. სკოლის ბალანსზეა-1100 მოსწავლის ასაკის შესაბამისი მერხი და სკამი. ყველა საკლასო ოთახში არის დაფა; სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკის დიდი რაოდენობა, კერძოდ 122 პორტატული კომპიუტერი და 41 პერსონალური კომპიუტერი, მათ შორის ყველა კათედრას ცალკე აქვს გადაცემული ლეპტოპი, პრინტერი-9, პროექტორი 12 და მონიტორი 13. სააქტო დარბაზისთვის სკოლას შეძენილი აქვს 300 სკამი. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სკოლის შენობის მესაკუთრეა სახელმწიფო, სკოლას ქონება გადაცემული აქვს არსებობის ვადით, რაც იძლევა გარანტიას, რომ ავტორიზაციის პერიოდში უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალური რესურსით. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 1637 მოსწავლე, მათ შორის 73 სსსმ მოსწავლე. სკოლაში სწავლა ხორციელდება 2 ცვლაში.

სკოლამ გაითვალისწინა რჩევა, კერძოდ: უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საქვაბიდან გატანილია ყველა მალაალებადი ნივთი, რაც ამცირებს შესაძლო რისკებს და უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. გათვალისწინებულია რჩევა შენობის რეაბილიტაციის შემდგომ აზომვითი ნახაზების განახლების შესახებ და სკოლას დაწყებული აქვს შესაბამისი აქტივობების გახორციელება, გაახლებულია საკადასტრო გეგმა. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციის სახით წარმოადგინა ფოტომასალით შესაბამისი მტკიცებულება. **ინდიკატორი 3.5.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და იძლევა სხვადასხვა აქტივობების სრულფასოვანი ჩატარებისა და დასვენების საშუალებას. სკოლას აქვს საერთო სარგებლობის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც კომიუტერების რაოდენობა გათვლილია თითოეულ მოსწავლეზე ინდივიდუალურად, ფიზიკის კაბინეტი, ქიმია-ბიოლოგის ლაბორატორია, სკოლის ეზო-რეკრეაციული ზონით ასევე ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, სადაც დირექციის განმარტებით შესაძლებელია სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებების გამართვა; ღია სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, სამასწავლებლო, რომელშიც ყველა პედაგოგისთვის განთავსებულია კარადა. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი, ინტერნეტით უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, ბუფეტი. შემუშავებულია ბიბლიოთეკაში მუშაობის დებულება (ბრძ.N2-619; 19.12.2025წ.), ლაბორატორიის გამოყენების წესი (ბრძ.N2-627; 22/12/2025წ.). აღნიშნული წესებით განსაზღვრული რეგულაციები ხელს უწყობს სკოლაში არსებული საზიარო სივრცეების შესაბამისი მატერიალური რესურსით შეუფერხებლად გამოყენებას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 3.5.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლაში ბიბლიოთეკით სარგებლობის პროცესი რეგულირდება სკოლის მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკის მუშაობის დებულების დოკუმენტით (ბრძ.N2-619; 19.12.2025წ.). ასევე ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები განსაზღვრულია სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლა მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესით (ბრძ.N2-630; 23/12/2025წ.). ბიბლიოთეკა განთავსებულია პირველ სართულზე. ერთ სივრცეშია წიგნსაცავი და სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ მოსწავლეს და მასწავლებელს. სასკოლო ბიბლიოთეკაში თაროებზე წიგნები განთავსებულია კატალოგის მიხედვით. სკოლას აქვს ფორმულარები, რომლითაც ხდება ძირითადად მხატვრული ლიტერატურის გაცემა მოსწავლეებზე. ბიბლიოთეკაში არის 3 კომპიუტერი და 1 კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, ასევე 1 პრინტერი. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აღირიცხება სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში, სადაც აღინიშნება: ინვენტარის ნომერი, წიგნის ავტორის სახელი და გვარი, წიგნის სათაური, ინდექსი, გამოცემის წელი, გამოცემის ადგილი, წიგნის ღირებულება (ფასი) და შენიშვნა. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი რეგისტრირდება ელექტრონულადაც. ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კლასისა და ყველა საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და დამხმარე რესურსი. ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდი შეადგენდა 48015 ერთეულს, მათ შორის 5537 მხატრული ლიტერატურა, 42478 სახელმძღვანელო. **ინდიკატორი 3.5.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია და ქმნის ინკლუზიურ გარემოს. შენობას ეზოდანვე აქვს პანდუსები, ხოლო სართულებზე გადაადგილებისთვის სკოლას აქვს ლიფტი და სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული როგორც რესურსოთახი, ასევე ინტეგრირებული კლასი. სკოლას აქვს დიდი სააქტო დარბაზი, სადაც სცენაზე ასასვლელად ასევე დამონტაჟებული აქვს ლიფტი შშმ პირისთვის. შენობის პირველ და მეორე სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლის გარემო ადაპტირებულია და მორგებულია შშმ პირის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებლები, სსსმ პირის ასისტენტები, ინტეგრირებული კლასის სპეც.მასწავლებლები და ფსიქოლოგი. რესურსოთახი აღჭურვილია სხვადასხვა რესურსებით. სპეც. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი ადგენენ თითოეული საჭიროების მქონე ბავშვის განვითარების გეგმას, იძენენ საჭირო რესურებს ან თავად ქმნიან მოსწავლის საჭიროების შესაბამისად. **ინდიკატორი 3.5.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ეზო დამონტაჟებული სკამებით რეკრეაციული ზონით, ეზო მოპირკეთებულია და შესაძლებლობას ქმნის იყოს სოციო-კულტურული სივრცე. ეზოს ნარგავების მოვლა-პატრონობას სკოლა საკუთარი ძალებით უზრუნველყოფს, რაშიც თავად მოსწავლეებიც არიან ჩართულები. გარდა ამისა, სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი და დახურული სპორტული დარბაზი სპორტული ღონისძიებების განსახორციელებლად. სააქტო დარბაზი და კომპიუტერული ლაბორატორები საინტერესო ღონისძიებებისა და პროექტების პრეზენტაციისთვის. შენობაში არის დიდი და ფართე დერეფნები მრავალფეროვანი ღონისძიებების და გამოფენების მოსაწყობად. ვიზიტის პერიოდშიც სკოლას მოწყობილი ჰქონდა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა ნოდარ დუმბაძის სახელობის არის, ყველა სართულზე სტენდებია დუმბაძის ნაწარმოების ფრაზებით, რაც უფრო ზრდის სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის მიკუთვნებულობის განცდას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამასწავლებლოშიც შექმნილია თანამშრომლობითი გარემო, რაც ხელს უწყობს გუნდური საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას. სამასწავლებლოში ყველა პედაგოგისთვის გაკუთვნილია კარადა პირადი ნივთების შესანახად. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. შესაბამისად **ინდიკატორი 3.5.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- რეესტრის ამონაწერი;
- აზომვითი ნახაზები;
- ინვენტარიზაციის მასალები;
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლა მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი (ბრძ.N2-630; 23/12/2025წ.);
- ლაბორატორიის გამოყენების წესი (ბრძ.N2-627; 22/12/2025წ.);
- ბიბლიოთეკის მუშაობის დებულების დოკუმენტი (ბრძ.N2-619; 19.12.2025წ.);
- ბიბლიოთეკის სარეგისტრაციო ჟურნალი;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის მიერ შემუშავებული სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლა მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესის (ბრძ.N2-630; 23/12/2025წ.) მიზანია სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. ასეევე ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება.

სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ლაბორატორიის გამოყენების წესი (ბრძ.N2-627; 22/12/2025წ.), რომლითაც განსაზღვრულია ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სარგებლობის წესი. ამ წესის მე-7 და მე-8 მუხლი განსაზღვრავს კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესებს. კომპიუტერულ ლაბორატორიას ხელმძღვანელობს ისტ-ის მასწავლებელი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა ასევე, მასწავლებლებთან შეთანხმებით შეადგინოს ლაბორატორიაში მუშაობის

გრაფიკი. IT ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, კერძოდ ლაბორატორიაში განთავსებულია თითოეული მოსწავლისთვის კომპიუტერი (29). ის გამიზნულია საგაკვეთილო, სადემონსტრაციო და საგამოცდო მიზნებისთვის. მასწავლებლებისთვის კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია როგორც სამასწავლებლოში, ასევე ბიბლიოთეკაში, სადაც განთავსებულია 3 კომპიუტერი. გარდა ამისა, ყველა კათედრის ყველა მასწავლებელს აქვს სკოლისგან გადაცემული ლეპტოპი. კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფილია სკოლის ადმინისტრაციაც, ინტერნეტი ხელმისაწვდომია სკოლის მთელ სივრცეში. მშობელთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლეები დაცულნი არიან არასანდო პლატფორმებით სარგებლობისგან, აღნიშნული საკითხები გაწერილია ლაბორატორიით სარგებლობის წესში და საჯაროდაც არის ხელმისაწვდომი სკოლის ვებგვერდზე. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკის დიდი რაოდენობა, კერძოდ 122 პორტატული კომპიუტერი და 41 პერსონალური კომპიუტერი, მათ შორის ყველა კათედრას ცალკე აქვს გადაცემული ლეპტოპი, პრინტერი-9, პროექტორი 12 (მათ შორის თითო ყველა კათედრას) და მონიტორი-13. **ინდიკატორი 3.6.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია და გამოიყენება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით და არაფორმალური აქტივობების დაგეგმვის ხელშეწყობისათვის. როგორც ვიზიტის პერიოდში ექსპერტებთან საუბრისას სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, კომპიუტერულ ლაბორატორიაში მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა დიაგნოსტიკური წერა მათემატიკასა და ინგლისურ ენაში. აღნიშნული პროცესის განხორციელებისთვის სკოლა ხელმძღვანელობდა ლაბორატორიის გამოყენების წესის დოკუმენტით (ბრძ.N2-627; 22/12/2025წ.), რომლითაც განსაზღვრულია ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სარგებლობის რეგულაციები და პროცესები. სკოლაში გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტები, მართვის საინფორმაციო სისტემები, teams-ის პორტალი, ელექტრონული ჟურნალი, სკოლას აქვს შექმნილი სოციალური გვერდი კომუნიკაციისთვის და სიახლეების გაზიარებისთვის. **ინდიკატორი 3.6.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლა მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი (ბრძ.N2-630; 23/12/2025წ.);
- ლაბორატორიის გამოყენების წესი (ბრძ.N2-627; 22/12/2025წ.);
- ინვენტარიზაციის მასალები;
- ვიზუალური დათვალიერება.
- სკოლის სოციალური გვერდი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი (ბრძ.N 2-647; 24/12/2025წ.), რომელიც ადგენს მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს და სავალდებულოა დაწესებულების ყველა თანამშრომლისთვის, ამ დოკუმენტში დარეგულირებულია დოკუმენტების მომზადების, მიღების, გაგზავნის, შენახვის წესები. სკოლას შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული („eflow”) და მატერიალური ფორმით. მატერიალური ფორმით აღირიცხება ხელშეკრულებები. სკოლა საქმისწარმოების წესის შესაბამისად აწარმოებს შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს. სკოლაში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებელთან ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები, რომლებიც განთავსებულია თაროებზე. **ინდიკატორი 3.6.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის („eflow”) საშუალებით. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება

ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება. **ინდიკატორი 3.6.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შემოწმდა eSchool-ის ბაზები, რომლებიც სრულყოფილია, შევსებულია ყველა სავალდებულო ველი. ამავე სისტემაში ხდება მოსწავლის მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, კლასის ცვლილების განხორციელება, ასევე საგაკვეთილო ცხრილებისა და განრიგის შეტანა. შეტანილი აქვთ სკოლის პერსონალის და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების პერსონალური მონაცემები და ა.შ. **ინდიკატორი 3.6.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

საქმისწარმოების პროცესის შესწავლით დგინდება, რომ დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. კერძოდ, სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციას საგანმანათლებლოს საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს და თანამშრომლობს მათთან. **ინდიკატორი 3.6.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- შრომითი ხელშეკრულების რეგისტრაციის ჟურნალი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამა E-flow;
- მარეგულირებელ უწყებებთან უკუკავშირის მასალები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი (ბრძ.N2-644; 24/12/2025წ.), რომელშიც გაწერილია შიდა და გარე კომუნიკაციის სტრატეგიები, ასევე საზოგადოების წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმები და პრინციპები. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

სკოლას აქვს სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებგვერდი. სკოლის გვერდი განათლების სამინისტროს პორტალზე, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სოციალური ქსელშიც სკოლას აქვს თავისი Facebook გვერდი სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის რუსთავის N21 საჯარო სკოლის ფეისბუქ გვერდი. სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სკოლაში საქმისმწარმოების პროცესი ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow-თი, მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ით შემოსულ ინფორმაციას საქმისმწარმოებელი სისტემატურად აწვდის ადრესატს და დაინტერესებულ პირებს. სკოლა საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციასას ასევე ხელმძღვანელობს მოსწავლეთა მშობელთან ურთიერთობის დებულების შესაბამისად (ბრძ.N2-637; 24/12/2025წ.) მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება: მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით); ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით; სისტემატური კომენტარებით I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში; მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს;

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებთან გასაუბრებისას მშობლებმაც და ადმინისტრაციამაც აღნიშნეს, რომ მშობლებთან კომუნიკაციისას აქტიურად გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი, თიმსის პლატფორმა და სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფები. შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ხდება ვებგვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. **ინდიკატორი 3.6.3.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო ინფორმაციის გავრცელებას. გავრცელებული ინფორმაციის

სანდოობა დასტურდება სკოლაში რეალურად განხორციელებული პროცესებით. სკოლის დირექციამ ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობას იღებს განთავსებული ინფორმაციის სისწორეზე. ამასთანავე ვიზიტის პერიოდში მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებითაც დასტურდება საკომუნიკაციო არხებით სკოლიდან მიღებული ინფორმაციის სანდოობა. გასაუბრების დროს სკოლის წარმომადგენლებმა ექსპერტებთან აღნიშნეს, რომ ვებგვერდის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირად სკოლას განსაზღვრული ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი. **ინდიკატორი 3.6.3.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინდიკატორი არ ფასდება პირველადი ავტორიზაციის პროცესში, უნდა აღინიშნოს სკოლის გამოცდილება ამ მიმართულებით. სკოლა სხვადასხვა არხით იღებს უკუკავშირს მშობლებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან. კომუნიკაცია ხორციელდება როგორც პირისპირ შეხვედრებისა და მშობელთა კრებების დროს, ასევე სატელეფონო კომუნიკაციითა და სოციალური ქსელების საშუალებით. მიღებული მოსაზრებები და შენიშვნები სკოლას ეხმარება საჭიროებების იდენტიფიცირებაში და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის რეაგირებაში, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობის განვითარებასა და სკოლაში საგანმანათლებლო მომსახურების გაუმჯობესებას. როგორც ექსპერტებთან სასკოლო საზოგადოების წევრებმა აღნიშნეს, მაგ: ექსკურსიების და სხვადასხვა პროექტების განხორციელების შესახებ მოსწავლეები მიმართავენ სკოლის ადმინისტრაციას. ინტერვიუს დროს მოსწავლეებმა დაასახელეს კონკრეტული პროექტები, რომლებიც სკოლასთან კომუნიკაციის შედეგად განხორციელდა, მაგ: უფროსი კლასის მოსწავლეების მიერ კითხვის კლუბის ჩამოყალიბება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის. ასევე სკოლის ფილოსოფიის რევიზიის პროცესში, სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევის მიზნით ჩატარდა გამოკითხვა და მათი შეხედულებებისა და პრიორიტეტების მიხედვით მოხდა სკოლის ფილოსოფიის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბება. **ინდიკატორი 3.6.3.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე, აქვს ვებგვერდი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში www.skolebi.emis.ge სადაც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი 3.6.3.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლას აქვს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge შესაბამისი გვერდი, სადაც განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები; სტრუქტურა; სტრატეგიული და 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები; 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები; სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები; გასაჩივრების მექანიზმები; ქცევის წესები; ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა; ინფორმაცია სკოლის ბიუჯეტის შესახებ; საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი 3.6.3.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა მშობელთან ურთიერთობის დებულება(ბრძ.N2-637; 24/12/2025წ.);
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი (ბრძ.N2-644; 24/12/2025წ.);
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N2-111; 26/02/2026წ.);
- სკოლის გვერდი განათლების სამინისტროს პორტალზე
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის რუსთავის N21 საჯარო სკოლის ფეისბუქ გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლამ წარმოადგინა ბიუჯეტი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 09 დეკემბრის სხდომაზე (N12 ოქმი). სკოლის დირექტორის წლიური ფინანსური ანგარიშით დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯვით ნაწილში.

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. დაფინანსების წყაროები ასახულია სკოლის ბიუჯეტში და მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებას. სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლას ასევე აქვს დამატებითი ეკონომიკური შემოსავლები, კერძოდ, კანონმდებლობის შესაბამისად იჯარით აქვს გაცემული სკოლას სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი (არასაგაკვეთილო პერიოდში) და კვების ობიექტი. ბიუჯეტი ითვალისწინებს დასაქმებულ პირთა ხელფასს, კომუნალურ ხარჯებს და სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შესყიდვას. სკოლამ იჯარით ფართის გაცემა განახორციელა კანონმდებლობის დაცვით, რაც დასტურდება ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტაციით (სამინისტროს თანხმობა ბუფეტის იჯარით გაცემაზე (2025.17.10; MES 8 25 0001364363); სამინისტროს თანხმობა სპორტული დარბაზისა და გარე მოედნის იჯარით გაცემაზე (2025.17.10; MES 5 25 0001413888); ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა იჯარით გაცემაზე (19.11.2025წ. KA021788627962625); იჯარის ხელშეკრულებები (ბუფეტი; შიდა სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი); აუდიტის დასკვნა;). სკოლა ფინანსურად მდგრადია და უზრუნველყოფს ფინანსური რესურსით განახორციელოს სამოქმედო გეგმა. **ინდიკატორი 3.7.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა. ფინანსური დაგეგმვის პროცესი ძირითადად ეყრდნობა პროგნოზებს, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს ბიუჯეტის გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანის საკითხი. როგორც ექსპერტებთან გასაუბრებისას სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, საბიუჯეტო გეგმის შექმნამდე სკოლა ითვალისწინებს კათედრების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმებისა და პროექტების განსახორციელებელი საჭირო რესურსების შესყიდვების შესახებ. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს სკოლის ბუღალტერი. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებები შეაქვს სამეურვეო საბჭოს. სამეურვეო საბჭოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წარედგინება სკოლის ფინანსური საქმიანობის ანგარიში. **ინდიკატორი 3.7.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 09 დეკემბრის სხდომის N12 ოქმი;
- ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძ.N 2-651);
- ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიში;
- შესყიდვების დოკუმენტაცია;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამინისტროს თანხმობა ბუფეტის იჯარით გაცემაზე (2025.17.10; MES 8 25 0001364363);
- სამინისტროს თანხმობა სპორტული დარბაზი და გარე მოედნის იჯარით გაცემაზე (2025.17.10; MES 5 25 0001413888);
- ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა იჯარით გაცემაზე (19.11.2025წ. KA021788627962625);
- იჯარის ხელშეკრულებები (ბუფეტი; შიდა სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი);
- აუდიტის დასკვნა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში შემუშავებულია და მოქმედებს შიდა რეგულაციები, რომლებიც სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები მოიცავს დისციპლინურ წესებს, უსაფრთხო და ღირსეულ სასკოლო გარემოს, თანასწორ მოპყრობას, დისკრიმინაციის დაუშვებლობას, მოსწავლის აზრის გამოხატვის უფლებასა და მის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრინციპს. რეგულაციები პრაქტიკაში გამოიყენება და წარმოადგენს სკოლის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილს. აღნიშნული დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით:

- ✓ **სკოლის შინაგანაწესი,** რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები;
- ✓ **პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი** (ბრძ.N2-640; 24/12/2025წ.), რომლითაც ხდება მოსწავლის პერსონალური ინფორმაციის დამუშავების პროცესის რეგულირება საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად;
- ✓ სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლაში შემოსული **განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა** (ბრძ. N2-620), რომელიც არეგულირებს საჩივრის წარდგენის ფორმას, ვადებს;
- ✓ **მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი** (ბრძ.N2-635; 23/12/2025წ.);

- ✓ **მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი** (ბრძ. N2-656; 25/12/2025);
- ✓ **სასკოლო სასწავლო გეგმა,** რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ, სადაც მოცემულია ინფორმაცია სასწავლო პროცესის ფარგლებში მოსწავლეთა უფლებების შესახებ.
- ✓ **უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი** (ბრძ. N2-655; 25/12/2025წ.), რომელიც შემუშავებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად და მოიცავს სასკოლო პერიოდში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციულ და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს;
- ✓ **მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი** (ბრძ. N2-639; 24/12/2025წ.), რომლის თანახმად, სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა;
- ✓ **მოსწავლეთა ადაპტაციის წესი** (ბრძ. N2-631; 23/12/2025წ.), რომელშიც აღწერილია მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები;
- ✓ **მოსწავლეთა რემედიაციის წესი** (ბრძ.N2-641; 24/12/2025წ.), რომელიც განსაზღვრავს რემედიაციის პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესს, რაც ნიშნავს მოსწავლისთვის კლასის/საფეხურის დაძლევის შესაძლებლობის მიცემას საშემოდგომო გამოცდის ჩატარებამდე;
- ✓ **სსსმ მოსწავლეთათვის პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია** (ბრძ.N2-653; 25/12/2025წ.)
- ✓ სკოლის მიერ შემუშავებული კოლეგიალური სტრუქტურული ერთეულების **დებულებები**, რომლებიც არეგულირებენ მოსწავლეთა უფლებების საკითხს სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში მათი წარმომადგენლითობით, როგორიცაა: მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი და სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მათი ჩართულობით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტისა და რეგულაციის მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 4.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ისინი გაზიარებულია სკოლის ოფიციალური ვებგვერდისა https://sites.google.com/view/rustavi21/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98 და სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით (სკოლის საინფორმაციო დაფა), ასევე განიხილება მშობლებთან (მშობელთა კრება), მოსწავლეებთან (დამრიგებლის საათი) და პერსონალთან საინფორმაციო შეხვედრებისა და საკლასო საათების ფარგლებში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს რეგულაციების გამჭვირვალობას, მათი შინაარსის გააზრებას და პრაქტიკაში სწორად გამოყენებას. შესაბამისად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭირვალეა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისია. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი მატერიალური მტკიცებულებები, მშობლებსა და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია. **ინდიკატორი 4.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მოსწავლეს/მის კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი მშობელთა კრებაზე დეტალურად ეცნობა ხელშეკრულების პირობებს მოსწავლეებისა და სკოლის კანონიერ უფლება-მოვალეობებს, რასაც ადასტურებს ხელმოწერით. ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის გაწერილი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებულია მოსწავლეთა კანონიერი ინტერესები და საჭიროებები. ექსპერტთა ჯგუფმა სკოლაში ვიზიტის დროს დაათვალიერა მშობელთა ხელშეკრულებები შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ყველა ხელშეკრულება ხელმოწერილია დირექტორის და მშობლის მიერ. ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლარად, ერთი რჩება როგორც წესი სკოლაში - მეორე ეძლევა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. **ინდიკატორი 4.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი (ბრძ.N2-640; 24/12/2025წ.);
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა (ბრძ. N2-620);
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი (ბრძ.N2-635; 23/12/2025წ.);
- მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი (ბრძ. N2-656; 25/12/2025);
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლეთათვის პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია (ბრძ.N2-653; 25/12/2025წ.)
- უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ.N2-655; 25/12/2025წ.);
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი (ბრძ. N2-639; 24/12/2025წ.);
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (ბრძ. N2-631; 23/12/2025წ.);
- მოსწავლეთა რემედიაციის წესი (ბრძ.N2-641; 24/12/2025წ.);
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს სკოლა ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესების და პროცედურების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს **მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმი** (ბრძ. N2-635; 23/12/2025წ.). აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის პროცედურას. ასევე დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასებში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით მოსწავლეთა ჩარიცხვის პროცედურებს. იგივე დოკუმენტით განსაზღვრულია მოსწავლის სტატუსის შეჩერება/აღდგენის პროცესი; საფეხურის დაძლევა.

სკოლას ასევე შემუშავებული აქვს **მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი** (ბრძ. N2-656; 25/12/2025). დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის ასაკი და რეგისტრაციის პროცედურები; სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფლებამოსილება სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთვის N21 საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვასთან დაკავშირებით; დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასებში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით მოსწავლეთა ჩარიცხვის პროცედურები; მოსწავლის პირადი საქმისწარმოება; სკოლაში (გარდა პირველი კლასისა) ჩარიცხულ მოსწავლეთა ჩართვა სასწავლო პროცესში; მოსწავლის კლასიდან პარალელურ კლასში გადაყვანა; მოსწავლის სტატუსის შეჩერების საფუძველი და მშობლის ინფორმირება მოსწავლის სტატუსის შეჩერებამდე სკოლის მიერ დაგეგმილი პროცედურები; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი: მოსწავლის საფეხურის დაძლევის წესი.

მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის (ბრძ. N2-656; 25/12/2025) დოკუმენტის შესწავლისას ექსპერტთა მიერ დადგინდა ტექნიკური უზუსტობა, რაც უკავშირდებოდა პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის ასაკს, კერძოდ მე-2 მუხლის თანახმად, დაწყებით საფეხურზე პირველ კლასში ჩარიცხვის შესაძლებლობა ექნებოდა პირს, რომელსაც 6 წელი სასწავლო წლის დაწყების თარიღის მომდევნო დღიდან 1 ნოემბრამდე უსრულდება; აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღდმეგეგბოდა მოქმედ რეგულაციებს, რომლის თანახმად პირველ კლასში შეიძლება დარეგისტრირდეს პირი, რომელსაც 6 წელი უსრულდება სწავლის დაწყებიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ამასთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს მხოლოდ ტექნიკური შეცდომა იყო და ვიზიტის პერიოდშივე ცლილება შეიტანეს აღნიშნულ პუნქტში. ამასთანავე, ექსპერტთა მიერ სკოლამ მიიღო **რჩევა:** სასურველია, ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს სკოლის ორი დოკუმენტი - **მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმი** (ბრძ. N2-635; 23/12/2025წ.) და **მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების,**

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი (ბრძ. N2-656; 25/12/2025). რამდენადაც ორივე დოკუმენტში წარმოდგენილი რამდენიმე საკითხი ერთმანეთს ჰფარავს. ამასთან დაკავშირებით **არგუმენტირებული პოზიციის სახით სკოლამ აღნიშნა, რომ გაითვალისწინეს ექსპერტთა რჩევა,** კერძოდ, შეიმუშავეს ერთი დოკუმენტი „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მექანიზმი", რომელიც აერთიანებს და არეგულირებს შესაბამის პროცესებს ერთიან თანმიმდევრულ ფორმატში. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. **ინდიკატორი 4.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში პროცესი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება, რაც დასტურდება სკოლის შიდა მარეგულირებელი წესების, ბრძანებების, მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool შესწავლით. **ინდიკატორი 4.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, საგანმანათლებლო პროგრამების, მათი სპეციფიკის, აგრეთვე მომსახურებისთვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე გაზიარებულია სოციალური ქსელის საშუალებით. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნომრები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას. სკოლას სხვადასხვა დოკუმენტის სახით აქვს გაწერილი წლის მანძილზე შესასრულებელი აქტივობებისა და ღონისძიებების ჩამონათვალი/გეგმა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა წინასწარ განისაზღვროს მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევები, შედეგები და შესაბამის ქცევაზე რეაგირების ფორმები. წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი 4.1.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

ინდიკატორით გათვალისწინებული პროცესი რეგულირდება სკოლის მიერ შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის (ბრძ.N2-644; 24/12/2025წ.) დოკუმენტით, ასევე ,,მშობელთან ურთიერთობის დებულება“

(კომუნიკაციის სტრატეგია)(ბრძ.N2-637; 24/12/2025წ.). სკოლაში განცხადებები პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, თავსდება სკოლის ვებგვერდზე, ასევე იკვრება საინფორმაციო დაფაზე, ზიარდება სოციალურ ჯგუფებში, სკოლის ფეისბუქ გვერდზე, დახურულ სოციალურ ჯგუფებში მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს ხელი მიუწვდება სკოლაში არსებულ რესურსებზე. აღნიშული ინფორმაცია ასახულია სასკოლო გეგმაშიც, რომელიც ასევე გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. აქტივობებისა და ღონისძიებების სოციალურ ქსელში განთავსებამდე სკოლის ადმინისტრაცია მშობლისგან იღებს თანხმობას. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. აღნიშნული გადამოწმდა უშუალოდ ვიზიტისას სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით.
სკოლის სამეურვეო საბჭო, დირექცია და დისციპლინური კომიტეტი აქტიურად დგას სკოლის უსაფრთხოების სადარაჯოზე იმისათვის, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების და რესურსების შესახებ იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორი 4.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმი (ბრძ. N2-635; 23/12/2025წ.);
- მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი (ბრძ. N2-656; 25/12/2025);
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი (ბრძ.N2-644; 24/12/2025წ.);
- მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია)(ბრძ.N2-637; 24/12/2025წ.).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის დოკუმენტი (ბრძ. N2-631; 23/12/2025წ.), რომელშიც რეკომენდაციის სახით გაწერილია ნაბიჯები მშობლების და მასწავლებლების მხრიდან, იმისათვის რომ ადვილად მოხდეს მოსწავლის შეგუება ახალ გარემოსთან. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს უმტკივნეულოდ შეერწყას სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში; წესი აგრეთვე მოიცავს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპებს და მნიშვნელოვან ფაქტორებს; პირველკლასელთა ადაპტაციას; სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას; მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას; დეზადაპტაციის ნიშნების განსაზღვრას; დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელ ღონისძიებებს და მოსწავლეთა მიღებისას სწავლის დაწყების პროცედურებს პირველ დღეებში. **ინდიკატორი 4.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

მიუხედავად იმისა, რომ პირველადი ავტორიზაციის პროცესში აღნიშნული ინდიკატორი არ ივსება, ექსპერტთა ჯგუფი სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ცდილობს და ხელს უწყობს მოსწავლის სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკს საკლასო გარემოს მოწყობისას. მაგალითად, ავეჯის შესაბამისობა ასაკთან, სივრცე მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე (ბიბლიოთეკაში პუფები). სწავლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე სკოლა იწვევს პირველკლასელ მოსწავლეებსა და მათ

მშობლებს მასწავლებლებისა და გარემოს გასაცნობად. დამრიგებლებს სადამრიგებლო პროგრამით გაწერილი აქვთ ადაპტაციის შესაბამისი აქტივობები.

სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში იქმნება ისგ ჯგუფები, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ასევე აღსანიშნია, სკოლაში ფუნქციონირებს ინტეგრირებული კლასი, რომელიც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეების საზოგადოებაში ინტეგრაციას. **ინდიკატორი 4.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა რემედიაციის წესი (ბრძ. N2-641; 24/12/2025წ.), რომლის თანახმად რემედიაცია შეიძლება განხორციელდეს საკონსულტაციო შეხვედრებით ინდივიდუალური ან ჯგუფური დამატებითი გაკვეთილების სახით; შესაძლოა მოსწავლეს მასწავლებლის ხელმძღვანელობით შესასრულებელი ჰქონდეს დამოუკიდებელი სამუშაოები.

სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი. ექსტერნის გამოცდების წინარე პერიოდში საკონსულტაციო გრაფიკის მიხედვით უტარდებათ კონსულტაციები. რემედიაციის წესით განსაზღვრულია მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს რემედიაციის პროგრამის განხორციელების ფორმა, სადაც დეტალურად იწერება რა აქტივობებს და რა პერიოდში განახორციელებს სკოლა/საგნის მასწავლებელი მოსწავლის აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად რემედიაციის ფარგლებში. სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, რომ ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში, სკოლა მოსწავლისათვის გეგმავს და ახორციელებს ქართული ენის შესწავლის ხელშემწყობ აქტივობებს.

სკოლაში სსსმ მოსწავლების აკადემიური შედეგებისთვის საგნის მასწავლებლებთან ერთად პროცესში ჩართული არიან კვალიფიციური სპეციალური მასწავლებლები, ასისტენტები, რომლებიც მოსწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით მუდმივად თანამშრომლობენ საგნის მასწავლებლებთან. აღნიშნული დადასტურდა როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით, ასევე უშუალოდ პედაგოგებთან/სპეციალურ მასწავლებლებთან გასაუბრებითაც. სკოლის მოსწავლეებთან/მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მასწავლებლისგან მიიღონ დახმარება გაკვეთილების შემდეგ ინდივუდუალური ან ჯგუფური შეხვედრების სახით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლისგან მოსწავლე იღებს

სათანადო მხარდაჭერას აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი 4.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით გამოიხატება სკოლის მოსწავლეთა შესაძლებლობების წარმოჩენის ხელშეწყობაში - სკოლის დირექცია მხარდაჭერას უწევს მოსწავლეთა ინიციატივებს, რისთვისაც შემუშავებული აქვს მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმის დოკუმენტი (ბრძ. N2-1; 12/01/2026წ.). სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს ინოვაციური იდეებისა და ხედვების რეალიზაციაში, საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - ბიბლიოთეკას, კომპიუტერულ ლაბორატორიას, სააქტო დარბაზს, ეზოს, სპორტულ მოედანს, სპორტულ დარბაზს. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს თვითმმართველობა (მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება დამტკიცებულია: ბრძ.N2-632; 23/12/2025წ.) და მასთან არსებული სხვადასხვა კლუბი. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი (ბრძ. N2-633; 23/12/2025წ.), რომელშიც დეტალურადაა გაწერილი შესაბამისი აქტივობები და ნაბიჯები.

კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში, აცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებს (ნიშნის ამაღლება, კლასის ან საფეხურის ექსტერნის წესით დასრულება და მრავალი სხვ.), რაც ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაშიც და ეცნობიან განხორციელების მექანიზმებს. ასევე სკოლას საქმისწარმოების წესში გაწერილი აქვს ყველა წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისი რეალისტური ვადები. მოსწავლის მშობლის მიერ მოთხოვნილი განცხადებების საფუძველზე, ხდება დროული რეაგირება, რაც დადასტურდა მშობლებთან და საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან გასაუბრებითაც. **ინდიკატორი 4.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერი მექანიზმის დოკუმენტი, რომლითაც აქტიურად ხელმძღვანელობს. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი მატერიალური მტკიცებულებები, მასწავლებლებთან, მშობლებსა და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი, ექსკურსია, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრი, აღსანიშნია დაწყებით საფეხურზე მშობლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტი „რუსთავის ისტორია“, რომელსაც ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტები თავადაც გავეცანით.
სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში გამოკრულია მოსწავლეთა მიერ განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი პროექტები, გამოფენები, პლაკატები და კედლის გაზეთები.
სკოლაში თვითმმართველობის კლუბებიდან აღსანიშნავია „სტემ კლუბი“, „კინო კლუბი“ და „წიგნის კლუბი“, უკანასკნელის ფარგლებში კი - საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები „ამეცადინებდნენ“ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს, უკითხავდნენ წიგნებს და ა.შ. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს კლუბები: ,,სკოლა-ბანკი“ მე-7/9 კლასელებისთის, სახალისო ფორმით მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას ფინანსურ განათლებაზე და სხვ. **ინდიკატორი 4.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებებით (კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია) მოსწავლეთა და დაინტერებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. სხვადასხვა კითხვარის გაზიარება ხდება სოციალური ქსელის ჯგუფებში, ასევე სკოლაში ისტ-ის კაბინეტში. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი მატერიალური მტკიცებულებები (შევსებული კითხვარები და გაანალიზებული შედეგები) და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია. **ინდიკატორი 4.2.1.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის დოკუმენტი (ბრძ. N2-631; 23/12/2025წ.);
- მოსწავლეთა რემედიაციის წესი (ბრძ.N2-641; 24/12/2025წ.);
- რემედიაციის განხორციელების ფორმა;
- მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმის დოკუმენტი (ბრძ. N2-1; 12/01/2026წ.);
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება (ბრძ.N2-632; 23/12/2025წ.);
- კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო);
- მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი (ბრძ. N2-633; 23/12/2025წ.);
- სკოლის სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ანალიზი;
- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“ (ბრძ. N2-639; 24/12/2025წ.);
- სასკოლო პროექტი,,არჩევანი“, „რუთავის ისტორია“;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- კლუბის დებულებები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. აღნიშნულის ხელშეწყობას ცდილობენ სადამრიგებლო საათის მეშვეობით, სადაც დრო ეთმობა პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერულ დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებს, მაგ: განხილვა/საუბრები სხვადასხვა პროფესიების შესახებ, ვიზიტები პროფესიულ კოლეჯებში, სადაც მოსწავლეები ადგილზე ეცნობიან სხვადასხვა პროფესიებს. ასევე, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა იწვევს მოსწავლეთა მშობლებს, აწყობენ მშობლებთან კლასის შეხვედრებს, სადაც მშობლები საუბრობენ თავიანთ პროფესიებზე. გარდა ამისა, მასწავლებლები იყენებენ მოსწავლეთა ინტერესების კითხვარს, რის გათვალისწინებითაც ხდება კლუბებისა თუ პროექტების განხორციელება. პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა შესაძლებელია სხვადასხვა კლუბური აქტივობითა თუ პროექტით, რომლითაც სკოლა გამოირჩევა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესებისა და უნარების განვითარებას, რაც თავისთავად ეხმარებათ გააზრებული პროფესიული არჩევანის გაკეთებაში. მაგ: STEAM პროექტები და სხვა. ვიზიტის პერიოდში სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლის რეაბილიტაციის შედეგად განახლებულ

შენობაში დაბრუნებულები უფრო მეტი აქტიურობით ცდილობენ მოსწავლეთა პროფორიენტაციაზე ზრუნვას, რისთვისაც პროფორიენტაციის ფარგლებში სამოქალაქო განათლების ინიციატივით სკოლაში გაიმართა ციფრული მარკეტინგის მასტერკლასი; მოწვეული სხვადასხვა სტუმრები თემებზე ,,პროფესია-იურისტი", ,,პროფესია-მსახიობი" და სხვ. **ინდიკატორი 4.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი არ ფასდება. თუმცა ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ორგანიზებას უწევს სხვადასხვა პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან შეხვედრებს საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას. გარდა ამისა, მოსწავლეები თავადაც სტუმრობენ პროფესიულ კოლეჯებს. სკოლის მეილზე ხშირად შემოდის ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება კარიერულ განვითარებასა და პროფესიულ ორიენტაციას და სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის სასკოლო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები).

სკოლას გაფორმებული/დადებული აქვს მემორანდუმი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, შპს საგანმანათლებლო ტექნოლოგიური კომპანია „კინგსთან" და აიპ რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანებასთან, რაც კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის ურთიერთთანამშრომლობის ფორმებს. **ინდიკატორი 4.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგების შეფასებისას კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა სკოლის მიერ შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ". ამ შეფასებით დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფი და სკოლის წარმომადგენლებისგან მოითხოვეს ამ შეფასების განმარტება. სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში მიმდინარე რეაბილიტაციის პროცესის გამო სხვა სკოლაში როცა ახორციელებდნენ სასწავლო პროცესს, პროფესიული ორიენტაციის მიმართულება ისეთი აქტივობით არ გამოირჩეოდა. თუმცა, უკვე მიმდინარე წელს სკოლა ინტენსიურად უწყობს ხელს მოსწავლეებს კარიერული დაგეგმვის პროცესში ხელს, რასაც მოწმობს განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობები, რაც საჯაროდ ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სკოლის სოციალურ გვერდზეც. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას აქვს სკოლის

საჭიროებისა და პრაქტიკის კვლევების გამოცდილება სხვადასხვა მიმართულებით, სასწავლო წლის დასასრულს სკოლას დაგეგმილი აქვს გაწეული მომსახურების შეფასების მიზნით ჩაატაროს გამოკითხვა საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რამდენად ეფექტური იყო სკოლის აქტივობები პროფორიენტაციის კუთხით და რამდენად იქონია ამან გავლენა მათი მომავალი პროფესიის არჩევაში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 4.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- დამრიგებლის წლიური მოხსენება;
- კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო);
- უნივერსიტეტებსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის დადებული მემორანდუმები;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსიპ – ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლაში შემუშავებულია სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის (ბრძ.N2-653; 25/12/2025წ.) დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება ინკლუზიური განათლების პრინციპებს, მოქმედ კანონმდებლობასა და მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირებას, საჭიროებების შეფასებას, ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების განსაზღვრასა და შესაბამისი მხარდაჭერის დაგეგმვას. სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესი მოიცავს ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავებას, სპეციალისტების (სპეციალური მასწავლებელი,

საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგის) ჩართულობას, კლასის დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლების კოორდინირებულ მუშაობას. მექანიზმი უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს, სწავლების მეთოდების, მასალებისა და შეფასების ფორმების ადაპტირებას მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აქტიურ კომუნიკაციას და მათ ჩართულობას მხარდაჭერის პროცესში. ასევე ხორციელდება სსსმ მოსწავლეთა პროგრესის რეგულარული მონიტორინგი, მიღწევებისა და სირთულეების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების კორექტირება. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში, თანაბარ ხელმისაწვდომობას საგანმანათლებლო რესურსებზე და ხელს უწყობს მათ აკადემიურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის წესი (ბრძ. N.2-488/1; 30/09/2025წ.), რომლის საფუძველზეც სკოლაში ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი (ბრძ. N2-105; 28/04/2025წ.). ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა - 73 სსსმ მოსწავლე. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ინტეგრირებული კლასი. სპეციალურ მასწავლებელთა, ასისტენტთა და ფსიქოლოგთა ჯამური რაოდენობა შეადგენს - 16. **ინდიკატორი 4.2.3.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში სსსმ მოსწავლეთა წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ხორციელდება სასკოლო საზოგადოების წევრების - მასწავლებლების, სპეციალისტების, ადმინისტრაციის, მოსწავლეთა მშობლებისა და საჭიროების შემთხვევაში სხვა დაინტერესებული მხარეების - აქტიური ჩართულობითა და თანამშრომლობით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლის საჭიროებების მრავალმხრივ გააზრებას და მხარდაჭერის ღონისძიებების ეფექტიან დაგეგმვას.

თანამშრომლობის პროცესში ხდება ინფორმაციის გაზიარება, მოსწავლის წინსვლის მონიტორინგი და მიღწეული შედეგების შეფასება, რაც საშუალებას იძლევა საჭიროების შემთხვევაში დროულად მოხდეს მხარდაჭერის სტრატეგიების კორექტირება. სასკოლო საზოგადოების ერთობლივი მუშაობა ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეთა აკადემიური, სოციალური და ემოციური განვითარების მხარდაჭერას და ქმნის ინკლუზიურ, მხარდამჭერ სასკოლო გარემოს.

ექსპერტებთან სსსმ მოსწავლის რამდენიმე მშობელმა გასაუბრებისას დაადასტურა, რომ ისგ ჯგუფი იკრიბება საჭიროებისამებრ, მასწავლებლები ქმნიან მოსწავლეზე მორგებულ აქტივობებს, სკოლა უზრუნველყოფს საჭირო რესურსებს და კომუნიკაციას ყველა მხარესთან. მოსწავლეების სკოლაში ხდება დაუნის სინდრომის, აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღეების აღნიშვნა. ასევე, მშობლებისთვის ტარდება შეხვედრები ცნობადობის ამაღლების მიზნით. აღნიშნულს ინტერვიუს დროს ადასტურებდნენ მშობლებიც. სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა ძირითადად

მიმდინარეობს რესურსოთახში, ინტეგრირებულ კლასში, რომელიც აღჭურვილია საჭირო საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსით. სკოლას ჰყავს საკმაოდ დიდი რაოდენობის სსსმ მოსწავლე (73) და მათ განათლებაზე ზრუნავს 16 შესაბამისი პროფილის მქონე სპეციალისტი. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების ხაზით მუშაობის დოკუმენტური მასალები: ისგ.ჯგუფის ოქმები, ინდივიდუალური გეგმები, მოსწავლეთა პროგრესის ანგარიშები და სხვ.

სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტში ერთ-ერთ მისიად განსაზღვრულია ინკლუზიური მიმართულება (სსსმ მოსწავლეების ადაპტაცია და ინტეგრაცია საზოგადოებაში), რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მატერიალური მტკიცებულებებითა და სასკოლო საზოგადოების წევრებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციით. სკოლის გაცხადებული მისიის თანახმად, სკოლის მისიია ,,უსაფრთხო, ინკლუზიური, განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა“... ხოლო სკოლის მიერ შემუშავებული ხედვით: ,,2030 წლისთვის სსიპ – ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლა იქნება უსაფრთხო, ინკლუზიური და განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცე, სადაც მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები ერთობლივად ქმნიან სწავლა-სწავლების მხარდამჭერ გარემოს“. უნდა აღნიშნოს, რომ სკოლას მისიასა და ხედვაში გაჟღერებულ მიზნები რეალურად აქვს სკოლას გააზრებული, რამდენადაც წელიწადზე მეტია სკოლაში დასაქმებულია შშმ პირი, რომელიც ყოველდღიურად ზრუნავს სკოლის სხვა პერსონალთან ერთად ხელი შეუწყოს სკოლაში სამუშო გარემოს შექმნას. იგი ყოველდღიურად ეხმარება პერსონალს თუ მოსწავლეებს სხვადასხვა მასალის ასლის გადაღებაში თუ ფოსტაზე მიწოდებული მასალების ამობეჭდვაში. დირექციის ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი მაგალითია მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის, რამდენადაც ბავშვები სწავლობენ და ეჩვევიან განსახვავებული შესაძლებლობის მქონე ზრდასრულ ადამიანთან ურთიერთობას, აღიქვამენ მათ საზოგადოების სრულუფლებიან წევრად და სწავლობენ ერთმანეთის თანადგომას, თანამშრომლობას, ემპათიას. **ინდიკატორი 4.2.3.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსსმ მოსწავლეთათვის პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი (ბრძ.N2-653; 25/12/2025წ.);

- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის წესი (ბრძ.N.2-488/1; 30/09/2025წ.);
- ბრძანება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ (2025 წლის 28.04; ბრძ. N2-105);
- სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების დოკუმენტაცია;
- ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმები;
- ადაპტირებული სასწავლო პროგრამები და შეფასების ფორმები;
- სსსმ მოსწავლეთა შესახებ ჩანაწერები;
- ინკლუზიური განათლების ჯგუფის შეხვედრების ოქმები;
- სსსმ მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგისა და შეფასების ფორმები;
- სასკოლო აქტივობებში სსსმ მოსწავლეთა ჩართულობის მაგალითები;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს უფასო გახანგრძლივებულ სწავლებას დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს ქართულის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების მოსამზადებლად, რაც განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმითაც. სკოლას იჯარით გაცემული აქვს: შიდა სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, ბუფეტი. თითოეულ ხელშეკრულებას თან ახლავს აუდიტის დასკვნა/დოკუმენტი: კერძოდ, სამინისტროს თანხმობა ბუფეტის იჯარით გაცემაზე (2025.17.10; MES 8 25 0001364363); სამინისტროს თანხმობა სპორტული დარბაზისა და გარე მოედნის იჯარით გაცემაზე (2025.17.10; MES 5 25 0001413888); ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა იჯარით გაცემაზე (19.11.2025წ. KA021788627962625); იჯარის ხელშეკრულებები (ბუფეტი; შიდა სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი); აუდიტის დასკვნა. **ინდიკატორი 4.2.4.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო მომსახურებების მიღება სრულად ეფუძნება ნებაყოფლობითობის პრინციპს. აღნიშნული სერვისები შეთანხმებულია მართვის კოლეგიალურ ორგანოებთან, მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან და ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტერესებზე, საჭიროებებსა და განვითარების ხელშეწყობაზე. გახანგრძლივებული ჯგუფი და სხვადასხვა კლუბი ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური, ფიზიკური, სოციალური და შემოქმედებითი უნარების განვითარებას და უზრუნველყოფს თავისუფალი დროის შინაარსიანად გამოყენებას. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები: ,,სკოლა-ბანკი“ მე-7/9 კლასელებისთის, სახალისო ფორმით მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას ფინანსურ განათლებაზე; STEM კლუბი, მათემატიკის კლუბი და სხვ. **ინდიკატორი 4.2.4.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ყველა აქტივობა იგეგმება და ხორციელდება მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რაც შეესაბამება როგორც სკოლის ღირებულებებს, ისე მოქმედ კანონმდებლობას. სკოლა მუდმივად აკონტროლებს დამატებითი მომსახურების პროცესს და საჭიროების შემთხვევაში იღებს პრევენციულ ზომებს შესაძლო რისკების თავიდან ასაცილებლად. სკოლაში ასევე მიმდინარეობს გახანგრძლივებული სწავლება უსაფრთხოების არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი 4.2.4.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- იჯარის დოკუმენტაცია;
- სპორტული დარბაზის აუქციონის მასალები;
- სამინისტროს თანხმობა ბუფეტის იჯარით გაცემაზე (2025.17.10; MES 8 25 0001364363);
- სამინისტროს თანხმობა სპორტული დარბაზისა და გარე მოედნის იჯარით გაცემაზე (2025.17.10; MES 5 25 0001413888);

- ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა იჯარით გაცემაზე (19.11.2025წ. KA021788627962625);
- იჯარის ხელშეკრულებები (ბუფეტი; შიდა სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი);
- აუდიტის დასკვნა;
- მშობელთან ხელშეკრულების ნიმუში;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კლუბების დებულებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

	☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

ნ. დუმბაძის სახელობის ქ. რუსთავის N21 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში (ბრძ. N2-374/1; 01.09.2025) ვკითხულობთ, რომ აღნიშნული მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტში საუბარია პროცესში ჩართულ მხარეებზე და ვკითხულობთ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტშიც ვკითხულობთ აღნიშნული საკითხის შესახებ, სადაც ხაზგასმულია ურთიერთნამაშრომლობა და გამოყოფილია კათედრებისა და მასწავლებლების როლი, როგორც კურიკულუმზე მუშაობის ნაწილში, ისე მშობლებთან თუ მოსწავლეებთან კომუნიკაციის საკითხებში, რათა კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს მათი ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. **ინდიკატორი 2.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

ნ. დუმბაძის სახელობის ქ. რუსთავის N21 საჯარო სკოლის სასწავლო პროცესი ეფუძნება კურიკულუმს, რომელშიც სრულყოფილადაა ასახული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და საჭიროებები. აღნიშნული შესაბამისობა დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, როგორიცაა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, საფეხურებრივი კურიკულუმები და კათედრების პორტფოლიოები. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ დოკუმენტში გაწერილი აქტივობები მიემართება სკოლის ფილოსოფიას. მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტში მკაფიოდაა გაცხადებული ორიენტირი წამახალისებელი და ინკლუზიური გარემოს შექმნაზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინიციატივების გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას.

ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა ხაზს უსვამს მრავალმხრივ თანამშრომლობას - მშობლებს, საგნის მასწავლებლებსა და სპეციალურ მასწავლებლებს შორის - რაც სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებისა თუ აქტივობების მეშვეობით უზრუნველყოფს ერთიანი ინკლუზიური სივრცის ფორმირებას. სკოლა მუდმივად ზრუნავს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებაზე, რისთვისაც მათ სთავაზობს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ კურიკულუმებს, მრავალფეროვან რესურსებს, პროექტებსა და კლუბურ მუშაობას. ამის ნათელი მაგალითია სკოლაში მოქმედი STEAM კლუბი, სამოქალაქო განათლებისა და კინო კლუბები, რომელთა ფარგლებშიც ხორციელდება სასკოლო პროექტები.

სასწავლო პროცესის გამჭვირვალობასა და ეფექტურობას განაპირობებს მუდმივი კომუნიკაცია მშობლებთან. მასწავლებლები რეგულარულად აწვდიან მათ ინფორმაციას კურიკულუმის მიმდინარეობის შესახებ და ითვალისწინებენ მათ უკუკავშირს. აღნიშნულ პროცესს ადასტურებს წარმოდგენილი მატერიალური მტკიცებულებები: სასკოლო საზოგადოებასთან

განხორციელებული გამოკითხვები (შევსებული კითხვარები) და მშობლებთან თუ მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაცია. **ინდიკატორი 2.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

ნ. დუმბაძის სახელობის ქ. რუსთავის N21 საჯარო სკოლის მარეგულიერებელ დოკუმენტში - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებს თითოეული მასწავლებელი, დირექცია, მშობელი და მოსწავლე. ასევე საგნობრივო კათედრების პორტფოლიოებში ვეცნობით, რომ მასწავლებლები კათედრების შესაბამისად იკრიბებიან, განიხილავენ მიმდინარე პროცესებს, შედეგებს, ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, ითვალისწინებენ ერთმანეთის, მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია დირექცია/ადმინისტრაცია, კათედრები მათთან შეთანხმებით გეგმავენ კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებსა თუ სხვა ტიპის სასკოლო ღონისძიებებს. (მაგ: თვითმმართველობის ინიციატივები, სასკოლო პროექტი, სხვადასხვა შეჯიბრი, კლუბური აქტივობა). თითოეულ საფეხურზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით კათედრის სხდომის ოქმებს, რომელშიც ვკითხულობთ, რომ კურიკულუმები განიხილება კათედრის შეხვედრებზე. იგივე დასტურდება მშობლებთან კრების ოქმებშიც, სადაც მშობლებს აცნობენ სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტარეტეგიული და სამოქმედო გეგმების შესახებ, აწვდიან ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმებზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების ოქმები გვეუბნება, რომ საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები და სპეციალური საგანმანათლებლო მოსწავლეების მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ერთობლივად გეგმავენ იმ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს, რომელიც ხელს შეუწყობს ინკლუზიური გარემოს ფორმირებას, რაც თავისთავად წარმოადგენს სასწავლო პროცესის, კურიკულუმის განუყოფელ ნაწილს. შესაბამისად, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი 2.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

ნ. დუმბაძის სახელობის ქ. რუსთავის N21 საჯარო სკოლის საზოგადოებისთვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარება რამდენიმე გზით მიმდინარეობს. აქ მოიაზრება სასკოლო საზოგადოების საერთო შეხვედრები, პედაგოგიური საბჭოს შეხვედრები, მშობელთა კრებები, საჭირო დოკუმენტების საიფორმაციო დაფაზე განთავსება, სოციალურ ქსელის გამოყენება, კლასების ე.წ. „ჩათებსა“ და „მესენჯერ“ ჯგუფებში კომუნიკაცია. მასწავლებელთა ნაწილის განცხადებით, საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების გაზიარება მშობლებისთვის ხდება, როგორც პირადი კომუნიკაციის ისე მშობელთა კრებების ფორმატით. სკოლას აქვს ვებ-გვერდი (https://sites.google.com/view/rustavi21/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%

E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90, რომელზეც განთავსებულია სკოლის ფილოსოფია, შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, სამივე საფეხურის სასკოლო კურიკულუმი და მრავალი სხვა დოკუმენტი. მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საზოგადოებაში ვებგვერდზე მეტი პოპულარობით სარგებლობს სოციალურ ქსელში არსებული სკოლის გვერდი. **ინდიკატორი 2.1.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძ. N2-374/1; 01.09.2025);
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის პორტფოლიო;
- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის რევიზიის ფორმა;
- მშობელთა კრების ოქმიN1;
- პედაგოგიური საბჭოს N1 ოქმი;
- კითხვარი მშობლებისათვის;
- კითხვარი მასწავლებლებისათვის;
- კითხვარი მოსწავლეებისთვის;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურუკულუმებზე დაყრდნობით, შემიძლია დავადასტურო, რომ შემუშავებული კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები.

	კურკულუმის ფარგლებში კათედრა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან აქტივობებს და შემოქმედებით დავალებებს. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე; შემუშავებული შემოქმედებითი დავალებები თავისი შინაარსითა და ფორმით მრავალფეროვანია, რაც უზრუნველყოფს განსხვავებული საჭიროებების მქონე ყველა მოსწავლის თანაბარ ჩართულობას. პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რაც ხელს უწყობს ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, კვლევა) განვითარებას. წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების ეფექტური მექანიზმია. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან ინტერვიუ იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. გამომდინარე იქიდან, რომ უცხო ენების სწავლებისას მთავარი ორიენტირი არის ენობრივი უნარების განვითარება, ხოლო თემები/შინაარსები არის შესაძლებლობა ამ უნარების განვითარებისათვის, საგნობრივ სტანდარტში მოცემულია საორიენტაციო თემების ჩამონათვალი, რაც იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებმა თითო საფუხურსა თუ საფეხურის შესაბამის კლასში გასავლელი თემების არჩევისას, გაითვალისწინეს თავინთი მოსწავლეების სურვილები და სახელმძღვანელოში მოცემული თემებიდან აიჩიეს მათთვის საინტერესო შინაარსები, რათა მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული და მამოტივირებელი გამხდარიყო სასწავლო პროცესი. გარდა ამისა, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს მოსწავლეთა ენობრივი შესაძლებლობები და შესაბამისად დაგეგმეს თითოეულ შერჩეულ თემაში გასავლელი/ჩასაშენებელი საგნობრივი საკითხები. წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო

	პროგრამის განხორციელება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის სწავლა-სწავლების ცენტრში და აქტიურადაა ჩართული პროცესში. შესაბამისად, შესაძლებელი ხდება სასწავლო პროცესი მოსწავლეზე მეტად იყოს ორიენტირებული. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან ერთად, მაგალითები კონტექსტისა თუ შედარებისათვის და შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ, სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში განხილული/დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს, რაც შესანიშნავი შესაძლებლობაა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განხორციელებისათვის. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/გადაწყვეტილების მოძებნა. ამასთან ერთად, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან

	დაკავშირებას. წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ინდიკატორია. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ესთეტიკის კათედრის - მუსიკის და ხელოვნების საგნის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინარე გამოცდილებას და პრაქტიკას. დაწყებითი საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი, შესაბამისად წარმოდგენილი წლიური ჩარჩო შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. მუსიკის/ხელოვნების საგნების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით სავალდებულო თემები, საკითხები და ცნება/ცნებები შევსებულია მართებულად, სწორად არის განსაზღვრული შემოქმედებითი კომპლექსური დავალებების ალგორითმი, შესანიშნავად არის ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალების იდეები. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტ მაგალითები და მრავალფეროვანი რესურსები, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა მოდალობების მქონე მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყოველივე ეს კარგად გამოჩნდა მათ მიერ განხორციელებულ კომპლექსურ/შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. კურიკულუმის

	შემუშავებისას პედაგოგებმა საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმეს კომპლექსური დავალებებით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. მოსწავლე ისწავლის, როგორ წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი, დააკვირდეს, რას გაართვა თავი მარტივად, რა წინააღმდეგობები შეხვდა გზად და როგორ გადალახა ისინი მასწავლებლის დახმარებით. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, მზაობა, გამოცდილება, ინტერესები და სურვილები. ასევე, ყველა მეთოდი, აქტივობა თუ რესურსი მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების ეფექტურ გზას. კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. თემები და აქტივობები შერჩეულია ესგ-ს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის შესაბამისად, აზრიან და საინტერესო კონტექსტში, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას და მათ აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების II-VI კლასების კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედურ მიზნად განიხილება და უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებაც მოსწავლეს უღვივებს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედებითობას და ფანტაზიის უნარს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებელთან ინტერვიუს დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, ერთმანეთთან ურთიერთმიმართება. **ინდიკატორი 2.1.2.1.**

	აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და შესაძლებლობები, რაც კარგად ჩანს მათ მიერ განხორციელებულ კომპლექსურ/შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. ეს ხელს უწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა გაზრდას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ასევე, ყველა მეთოდი, აქტივობა თუ რესურსი არის მრავალფეროვანი და მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეციერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურუკულუმებში, სამივე საფეხურზე, ჩანს კავშირი სტანდარტთან და სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან. კურიკულუმებში ასახულია ძირითადი თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით და სამიზნე ცნებები. სკოლას მიეცა **რჩევა:** სასურველია, დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა კურკულულუმის შედგენისას ითანამშრომლონ საბუნებისმეტყველო კათედრასთან და გაითვალისწინონ მათი გამოცდილება საგნობრივი სტანდარტით გასაზღვრული ძირითადი თემებისა და სამიზნე ცნებების სვეტების შევსებისას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმები აგებულია საგნობრივი სტანდარტების საფუძველზე, რომლებშიც

	მკაფიოდაა გაწერილი ძირითადი თემები, დასამუშავებელი საკითხები. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე; დავალებები და აქტივობები კი იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის გააზრება საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით. **სკოლას მიეცა რჩევა:** კურიკულუმის შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია კათედრამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გაითვალისწინოს მოქალაქეობის საგნობრივი გზამკვლევების მეთოდური რეკომენდაციები. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზმა და მასწავლებლებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ შემუშავებული სასწავლო პროგრამა შინაარსობივად და ტექნიკურად შესაბამისობაშია ერონული სასწავლო გეგმითა და საგნის სტანდარტით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებთან, მიზნებთან და საკითხებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების კურიკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. ამას გარდა, იკვეთება, რომ ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები და კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. უმეტეს შემთხვევებში, სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც, რაზეც დეტალურად ისაუბრეს ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა და გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. უცხოური ენების მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას.

	წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი ორიენტირებული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად დაგეგმილ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლა-სწავლების შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად); მასწავლებლებს ასევე გააზრებული აქვთ, რომ სწავლის პროცესში მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიცური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. წარმოდგენილი კურიკულუმების გაანალიზებისას და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის საგნობრივი საკითხები, დავალებები, თემები, ძირითადი/დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები, რაც დაეხმარება მათ პიროვნული განვითარებისთვის /ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება/ცნებები, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს მოსწავლის მაქსიმალური ჩართვა პროცესში, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ, ითვალისწინებს საგნობრივ

	მოთხოვნებს და ორიენტირდება ფუნქციურ კომპონენტური ექვსი უნარის დამუშავებასაკენ, რადგან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები, დასამუშავებელი საკითხები, კონტექსტ მაგალითები. დავალებები და აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის გამოყენებაში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. სკოლას მიეცა **რჩევა:** სამივე საფეხურისთვის-კურიკულუმის ჩარჩოში ზოგ შემთხვევაში გაიგივებულია საკითხი და კონტექსტმაგალითი, ჩვენი რჩევაა, კათედრამ იხელმძღვანელოს ეროვნული სასწავლო გეგმით და საკითხი ჩამოაყალიბოს შესაბამისად. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს შეუწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება მუშავდება, ზოგიერთ შემთხვევაში, მაგ: XI-XII კლასის კურიკულუმებში სამიზნე ცნების ნაცვლად ქვეცნებებია მითითებული, თუმცა შესაბამისი შემოქმედებითი დავალებებით მუშავდება ყველა ცნება. დასკვნის პროექტში სკოლას მიეცა რამდენიმე რჩევა, კერძოდ: საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სამიზნე ცნებების სვეტში ჩაიწეროს სამიზნე ცნებები საგნის სტანდარტის

	მიხედვით იმავე ფორმით, როგორც საბაზო და დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში აქვთ; XII-XI-X-IX კლასის კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში; **<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელშიც ასახულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები.</u> ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და უზრუნველყოფს მათ ეტაპობრივ განხორციელებას. კურიკულუმები აგებულია გრძელვადიან მიზნებზე, რომელიც შუალედური მიზნების დაგეგმვისა და განხორციელების გზით მიიღწევა. თითოეულ თემაში ინტეგრირებულია სტანდარტით განსაზღვრული ძირითადი ცნებები და ქვეცნებები. კურიკულუმებში თემებს ახლავს შემოქმედებითი პროდუქტის სახით შიდა სასკოლო ან საკლასო სპორტული ფესტივალები, რომელთა განხორციელებაც ხელს უწყობს არა მხოლოდ ფიზიკური უნარების განმტკიცებას, არამედ გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებასაც. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების II-VI კლასების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტების მოთხოვნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გააზრებულია გრძელვადიან მიზნებად. შუალედური სასწავლო მიზნები წარმოდგენილია შემოქმედებითი ბუნების დავალებების სახით, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად იყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. **სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია დაწყებითი საფეხურის II-VI კლასების კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნებების სვეტში მკაფიოდ იყოს ჩაწერილი სამიზნე ცნებები, ასევე კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს სვეტი "მიმართულებები" სამიზნე ცნებებთან

	მიმართებით. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან თანხვედრაშია. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდარტებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. თემებს ახლავს პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაზე ორიენტირებული აქტივობები. **სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია დაწყებითი საფეხურის ბუნების კურიკულუმში გაითვალისწინონ საგნობრივი სტანდარტით გასაზღვრული ძირითადი თემები და სამიზნე ცნებები. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე კურუკულუმით გათვალისწინებული მატერიალური და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. მრავალფეროვანი რესურსები წარმოდგენილია სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო). **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული მატერიალური და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი მასალა: როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ისე ციფრული, ვიდეო და აუდიო რესურსები, რაც სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის. კონკრეტულ თემებთან მიმართებით მასწავლებლებს მითითებული აქვთ ელექტრონული რესურსები ბმულების სახით, პრეზენტაციები და ინსტრუქციები, რომლებიც შერჩეულია

	მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. აღნიშნული რესურსები განხილული და მოწონებულია კათედრის სხდომებზე, მათი მიზნობრივი გამოყენება კი განაპირობებს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმებიდან დგინდება, რომ ძირითად რესურსად კათედრა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს, რომელსაც აქვს სამუშაო რვეული, აუდიო ჩანაწერები, პოსტერები, ქარდები, რაც იძლევა საგნის სტანდარტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. გარდა ძირითადი რესურებისა, კურიკულუმებში მოცემულია დამხმარე ელექტრონული რესურსები, რაც შერჩეულია ეფექტურად და დანამდვილებით დაეხმარება მოსწავლეებს განსაზღვრული შედეგების მიღწევაში. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში, სამივე საფეხურზე, მკაფიოდ არის წარმოდგენილი მრავალფეროვანი რესურსები, რაც შესაბამისობაშია მოცემულ თემატურ ერთეულებთან, რომლებიც განაპირობებს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი რესურსები - როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ისე ციფრული და მატერიალური რესურსები, ვიდეო თუ აუდიო მასალა, რომლებიც უფრო საინტერესოს და მიმზიდველს ხდის სასწავლო პროცესს და განაპირობებს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. ისინი მრავალფეროვანია და ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც ხელს უწყობს აქტიური და ჩართულობაზე ორიენტირებული სწავლის პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტურად მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

სპორტი	კურიკულუმებში თემებთან მიმართებით მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ელექტრონული რესურსები ლინკების სახით: გზამკვლევები, პრეზენტაციები და ვარჯიშის ვიდეოინსტრუქციები. მასწავლებლების მიერ გამოყენებული რესურსები, რომლებიც განხილულ და მოწონებულ იქნა კათედრის სხდომაზე, სრულად შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. აღნიშნული რესურსების მიზნობრივი გამოყენება უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებული ძირითადი ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსია school.emis.ge და ასევე სხვა ელექტრონული რესურსები Scratch.mit.edu (ანიმაციებისა და თამაშების შექმნისთვის), Code.org (პატარებისთვის მარტივი თამაშებისა და ანიმაციების შესაქმნელად), რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში ასახულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რომლებსაც კათედრის მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში. კერძოდ: მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო მიზნების ეფექტურად მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრა სასწავლო პროცესში ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს სხვადასხვა ტიპის აქტივობების დაგეგმვისას. გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები. ამას ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს წერითი დავალებების ნიმუშებს, შემოქმედებითი დავალების

	პროდუქტებს, ასევე მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ადაპტირებულ დავალებებს და ინდივიდუალური სასწავლო გეგმებს. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება ინკლუზიური განათლების პრინციპებსა და დიფერენცირებულ მიდგომებს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ადასტურებს, რომ კურიკულუმების დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე სრულად არის გათვალისწინებული მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, ინტერესები და მზაობა. მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით, პედაგოგები ახდენენ სასწავლო შინაარსისა და კომპლექსური დავალებების პირობების მოდიფიცირებას. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თავად აირჩიონ შესასრულებელი დავალების ტიპი ან შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა. სასწავლო მასალის მიწოდებისას გამოყენებული ვიზუალური, პრაქტიკული და თეორიული რესურსები უზრუნველყოფს სწავლის განსხვავებული სტილის მქონე მოსწავლეთა ეფექტურ ჩართულობას. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული გრძელვადიანი და შუალედური სასწავლო მიზნები, თემები, საგნობრივი საკითხები და შესაბამისი კომპლექსური დავალებები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული დიფერენცირებულ და პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარეა დაგეგმილი. ცხადია, რომ თითოეული მოსწავლე განიხილება, როგორც უნიკალური ინდივიდი თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე

	ცოდნას, შესაძლებლობებს, ინტერესებს და მიყვებიან განვითარების დინამიკას. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომის მნიშვნელოვანი მახასიათებლები. კერძოდ, მათ იციან, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლეს აძლევს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვის საშუალებას, რისთვისაც საუკეთესო ინსტრუმენტია კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. ასევე გამოიკვეთა, რომ ამ მიმართულებით მათთვის მნიშვნელოვანია კომპეტენციებზე დაფუძნებული პროგრესი და მოსწავლეთა საჭიროებების უწყვეტი მონიტორინგი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა, რომ მოახდინონ თემატური მატრიცების საჭიროებისამებრ ადაპტირება. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა გამოკვეთოს სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორები და მოსწავლეთა ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებით დაგეგმონ შესაბამისი დიფერენცირებული სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილ დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ნათლად გამოკვეთილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სტრატეგია და პრინციპები. სსსმ მოსწავლეთა დავალებები მორგებულია მათ შესაძლებლობებს. შემოქმედებითი ტიპის დავალებებში გათვალიწინებულია საგნობრივი სტანდარტით მოცემული ყველა სამიზნე ცნებები და მასზე დაყრდნობით შექმნილი ადაპტირებული დავალებები, რაც ქმნის მოსწავლის სრულფასოვან შეფასებას. აქტივობები/აქტივობათა კომპლექტაცია მორგებულია მოსწავლის საჭიროებებს და ამოცანებს, რაც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად დამუშავდეს სტანდარტით მოცემული თემები და გრძელვადიანი მიზნები. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს, ქმნის ინკლუზიურ გარემოს. ამის დასტურია წარმოდგენილი კომპლექსური

	დავალებები/აქტივობები, რესურსები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეზე და იწვევს მათ დაინტერესებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებიდან, მზაობიდან გამომდინარე აარჩიონ დავალება, საჭიროების შემთხვევაში ახდენენ სასწავლო შინაარსისა და დავალებების ადაპტირებას. სასწავლო მასალის წარდგენისას იყენებენ ვიზუალურ, პრაქტიკულ და თეორიულ მასალას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის სტილის, მოდალობების, გათვალისწინებასა და ეფექტურ ჩართულობას. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცერებას. მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და მასზე იმუშაონ. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში ჩანს როგორ ახდენს მასწავლებელი შემოქმედებითი ტიპის დავალების მოდიფიცირებას სსსმ მოსწავლეებისთვის და რამდენად ქმნის მათთვის ინკლუზიურ გარემოს. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	სასწავლო პროცესი ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც დასტურდება სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ანალიზით. ინტერვიუს ფარგლებში გმოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მრავალფეროვნება. შესაბამისად, კურიკულუმების დაგეგმვის ეტაპზევე ხდება მოსწავლეების ინტერესებისა და ფსიქო-ემოციური თავისებურებების გათვალისწინება. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების

	განხილვისას ჩანს, რომ საგნობრივი კურიკულუმების სტრუქტურა და კონცეფცია თავისი ბუნებით ხელს უწყობს ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზებას. შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრულია საფეხურის და არა კონკრეტული წლის ფარგლებში. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელი ინსტრუმენტია შემოქმედებითი დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს. ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, იყენებენ მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებთ სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური ტიპის დავალების პროდუქტის შესაქმნელად. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი) სამივე საფეხურზე, რაც ადასტურებს, რომ მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება საგნობრივ სტანდარტებს. **სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენისას დაწყებითი საფეხურის, ქიმიის და ფიზიკის მასწავლებლებმა ითანამშრომლონ ბიოლოგიის მასწავლებლებთან და გაიზიარონ მათი გამოცდილება რათა შეფასების რუბრიკებში მეტად იყოს გამოკვეთილი კავშირი სამიზნე ცნებებთან და ცნების

	ინდიკატორებთან. სკოლის მიერ **<u>არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოდგენილ იქნა მასალები, რომელშიც გათვალისწინებულია ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევები საშუალო საფეხურთან მიმართებაში.</u> ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ შეფასების პროცესი ეფუძნება საგნობრივ სტანდარტებსა და შედეგებს. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც ეყრდნობა საგნის სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ შეფასების რუბრიკების კავშირი სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან და ამ წარმოდგენების შინაარსის დაკონკრეტება შესაბამის ქვესაკითხებთან მიმართებით. მასწავლებლებს ასევე გააზრებული აქვთ შემუშავებული რუბრიკების გამოყენების მეთოდები და სტრატეგიები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, მათ გააზრებული აქვთ, რომ შეფასების რუბრიკები ეფუძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. მასწავლებლებს ასევე გააზრებული აქვთ შემუშავებული რუბრიკების გამოყენების მეთოდები და სტრატეგიები. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით ასევე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი (მაგ., შეიძლება მასწავლებელმა დაგეგმოს პოტფოლიოების, ჟურნალების, დღიურების გამოყენება, რადგან ეს მიდგომა და დიზაინი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს), განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების

	კრიტერიუმები. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმავითარებელი რუბრიკა ეფუძნება საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს, რომელშიც მკაფიოდ იკითხება მოსწავლის დონეები, რაც შესაძლებლობას ქმნის შეფასება მასზე დაფუძნებით განახორციელდეს. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. კათედრამ წარმოადგინა როგორც შუალედური შედეგის შესამოწმებელი დავალებების შეფასების, ასევე შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. **სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ სამივე საფეხურისთვის ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლაში სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. პედაგოგებს აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა შეაფასონ მოსწავლეები კრიტერიუმების მიხედვით და დაადგინონ მათი მიღწევების დონე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, მოსწავლის შეფასების სისტემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მტკიცებულებებად წარმოდგენილია ზოგადი და კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემები. სკოლაში, წელიწადში ორჯერ

	ტარდება დიაგნოსტიკური წერა, რაც შესაძლებლობას იძლევა შეაფასონ თითოეული სამიზნე ცნების გააზრების ხარისხი და შესაბამისი საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმონ/გადაგეგმონ შემდგომი პროცესი. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნაწილი ემყარება სამიზნე ცნებებს, ნაწილი კი უფრო ზოგადი ხასიათისაა. ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რამდენიმე რჩევა: რეკომენდირებულია სამივე საფეხურზე მათემატიკის კათედრაზე შეფასების რუბრიკები გადამუშავდეს, რათა შემოქმედებით დავალებებზე მეტად იყოს მორგებული და მიემართებოდეს სამიზნე ცნებებს (მათემატიკური მოდელირება, კანონზომიერება და ლოგიკა). სასურველია, სამივე საფეხურზე, მომავალში კათედრა მთლიანად გადავიდეს ისეთ შეფასების რუბრიკებზე, რომლებიც დამყარებული იქნება მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრებაზე. **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა მასალები, რომლებშიც გათვალისწინებულია ექსპერტთა მიერ დასკვნის პროექტში გაცემული რჩევები. ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (მძლეოსნობა), რომლის საშუალებითაც დეტალურად არის განსაზღვრული მოსწავლისგან მოსალოდნელი შედეგები კონკრეტულ ქვესაკითხსა და შესაბამის სამიზნე ცნებასთან მიმართებით. ასევე წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (ფეხბურთი, ფრენბურთი), რომლებიც ემსახურება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენას საგნობრივი სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. ვიზიტის პერიოდში სკოლამ მიიღო რჩევა: სასურველია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებმა შეიმუშაონ შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურისთვის და კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა თემისთვის, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას. თუმცა **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა მასალები, რომლებშიც გათვალისწინებულია ექსპერტთა მიერ დასკვნის პროექტში გაცემული რჩევები. ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ

	მასწავლებლები შეფასებას აკეთებენ სამიზნე ცნებების გათვალისწინებით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და მისაღწევი შედეგები. **სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია, შეფასების რუბრიკებში იყოს გამოკვეთილი კავშირი სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან ერთად განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, ნაწილი ემყარება სამიზნე ცნებებს, ნაწილი კი უფრო ზოგადი ხასიათისაა. **სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამივე საფეხურის კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრის პორტფოლიოები, სხდომის ოქმები, კათედრის ანგარიშები და სამოქმედო გეგმები;
- მასწავლებლების ანგარიშები;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები;
- შემოქმედებითი პროდუქტი - განხორციელებული სასკოლო და საკლასო სპორტული ფესტივალები (ფოტომასალა);
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია (ბრძ.N2-653; 25/12/2025წ.)
- სსსმ მოსწავლის დოკუმენტაცია;

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები და სხვა განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალა ადასტურებს, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი იგეგმება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მოსწავლეთა ნამუშევრები და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სკოლის სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად. სასწავლო პროცესი დინამიკურია და ორიენტირებულია განვითარებაზე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა რეგულარულად აანალიზებს კურიკულუმის განხორციელების პროცესს. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, კათედრა გეგმავს კურიკულუმებში პერიოდული ცვლილებების შეტანას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის მუდმივ აქტუალობასა და მის მორგებას მოსწავლეთა საჭიროებებზე. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად დაგეგმილია და მიმდინრეობს შემუშავებული კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები აკვირდებიან პროცესს და მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე მოდიფიცირებას უკეთებენ სასწავლო პროგრამას. შესაბამისი ცვლილებები შეაქვთ კურიკულუმშიც. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რასაც ამყარებს ინტერვიურების პროცესის დროს მიღებული ინფორმაცია, კათედრა სასწავლო პროცესს წარმათავს კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ასახული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასწავლო გეგმის ორიენტირია - მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარება.

	ინდიკატორი 2.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები, დავალებები, აქტივობები სრულად შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს 2025-2026 სასწავლო წლისათვის შემუშავებულ კურიკულუმებს, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოცემული კურიკულუმის შესაბამისად. კათედრა გეგმავს კათედრაზე გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სხვადასხვა თემასთან გაწერილია შემოქმედებით პროდუქტად შიდა სასკოლო და საკლასო სპორტული ფესტივალები (შესწავლილი საკითხების წარმოჩენით). სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ცხადი გახდა, რომ მათ განახორციელეს შიდა სასკოლო და საკლასო სპორტული ფესტივალები სამივე საფეხურზე: დაწყებით საფეხურზე - „მძლეოსნობა“, ასევე V და VI კლასის მოსწავლეებმა მოამზადეს პროექტი ქართველი ფეხბურთელების შესახებ; საბაზო და საშუალო საფეხურზე - „კალათბურთი“, „ფრენბურთი“ და „მინიფეხბურთი“. სკოლის სპორტული გუნდები სპორტის მასწავლებლების ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობენ რუსთავის სკოლებს შორის გამართულ სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე: მინიფეხბურთი; ფრენბურთი (გოგონები); კალათბურთი (5×5 ვაჟები) და კალათბურთი (3×3 ვაჟები), სადაც წარმატებას მიაღწიეს და მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავეს. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუ ადასტურებს, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას და განხორციელებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს,

	სასწავლო მიზნებს, რომელიც წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალებების სახით. ეს ყოველივე ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი კურიკულუმები, შემოქმედებითი ტიპის კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა ნამუშვრები და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

ნ. დუმბაძის სახელობის ქ. რუსთავის N21 საჯარო სკოლას მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების დროული გამოვლენისა და ეფექტური რეაგირებისთვის შექმნილი აქვს სხვადასხვა სახის დოკუმენტი. ზოგადად, სასწავლო პროცესი წარმოადგენს ცოცხალ პროცესს, რომელიც საჭიროებს მოქნილობას. სკოლის დირექცია მუდმივად მზად არის მხარდაჭერა გამოუცხადოს მასწავლებლებს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისათვის, იქნება ეს რესურსებით ხელშეწყობა, ტრენინგების დაგეგმვა, ღონისძიებების ორგანიზება თუ სხვა. იმის მიხედვით, თუ რა კონკრეტული საჭიროება უდგას სკოლას მოცემულ მომენტში. გარდა ამისა, მასწავლებლები მოქნილად იყენებენ საგნობრივ კურიკულუმებს და შეაქვთ მასში ცვლილებები. აღნიშნული საკითხი, ასევე, დასტურდება, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.), მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმის დოკუმენტი (ბრძ. N2-1; 12/01/2026წ.), მოსწავლის ადაპტაციის წესი (ბრძ. N2-631; 23/12/2025წ); მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი (ბრძ. N2-633; 23/12/2025წ.); ინტერვენციის გეგმები და სხვ.), ისე სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგად. ინტერვიუს დროს, მშობლებმაც და მოსწავლეებმაც გაიხსენეს შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი/მოსწავლე იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე და იმისთვის, რომ კლასს/მოსწავლეს ხელი არ შეშლოდა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების განხორციელებაში, ადმინისტრაცია და მასწავლებლები მოქნილად რეაგირებდნენ კონკრეტული კლასის/მოსწავლის საჭირობებეზე (რემედიაცია, შინ სწავლება). სკოლის დეკლარირებული თუ მოქმედი პრაქტიკა მიგვითითებს სკოლის ეფექტური რეაგირების შესაძლებლობაზე. **ინდიკატორი 2.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები,

მეცნიერებები	შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუშები ადასტურებს, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდო. მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან შეფასების კრიტერიუმებს. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეფასების რუბრიკები და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშები ადასტურებს, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფასების პროცესი არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სანდო. სამივე საფეხურზე შეფასება სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება, რომელიც ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და პროგრესზე. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასების პროცესის მაღალი გამჭვირვალობა და თანაბარი სამართლიანობა. მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან შეფასების მიზნებსა და კრიტერიუმებს; მათთვის ცნობილია, თუ რა მიმართულებით და რა ფორმით მოხდება მათი აკადემიური მიღწევების შეფასება. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და თითოეული მოსწავლის განვითარების მაქსიმალურ ხელშეწყობას **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკის ნიმუშები, რომელიც ეყრდნობა საგნის სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კერძოდ, განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა. შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია. გარდა ამისა, მოსწავლეებს შეუძლიათ ჰქონდეთ განცდა, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაცაა განზრახული და მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი. შესაბამისად, წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა ობიექტურობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია სამივე საფეხურის განსმაზღვრელი და

	განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ზოგადი ნიმუში საგნებისათვის - სახვითი და გამოყენებით ხელოვნებისთვის და მუსიკისთვის. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზანს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური და სანდო. რუბრიკები მორგებულია კომპლექსურ/შემოქმედებით ტიპის დავალებებზე და ასევე საშუალებას გვაძლევს მიმდინარე შეფასების პროცესში იყოს გამოყენებული. რუბრიკები სრულად მორგებულია ესგ-ის საგნობრივ სტანდარტს, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების სისტემისათვის, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასება ემყარება მოსწავლეთა ინდივიდუალურ წინსვლასა და პროგრესს, მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და მეთოდები - ტესტები, პროექტები, ურთიერთშეფასება, თვითშეფასება, რაც უზრუნველყოფს პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას. მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებსა და მიზნებს, რაც ზრდის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი პრინციპები და სამართლიანობა. ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და ყველა თემის შემაჯამებელი ან შემოქმედებითი დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში.

	სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა მასალები, რომლებშიც გათვალისწინებულია ექსპერტთა მიერ დასკვნის პროექტში გაცემული რჩევები. ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
სპორტი	მასწავლებლებს კურიკულუმში გაწერილი თემებისთვის წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, ემსახურება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლის განვითარების მაქსიმალურ ხელშეწყობას უზრუნველყოფს. მასწავლებლები შეფასებისას ყურადღებას ამახვილებენ, თუ რომელ საფეხურებრივ ჯგუფს აფასებენ და წინასწარ აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს იმის შესახებ, თუ რა და როგორ შეფასდება. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით და გასაუბრებიდან მიღებული ინფორმაციით, მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. ეს ყველაფერი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. მოსწავლეთათვის წინასწარ ცნობილია თუ რაში და როგორ ფასდებიან. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

ნ. დუმბაძის სახელობის ქ. რუსთავის N21 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი - (ბრძანება N 2 - 657.) სკოლაში დანერგილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს

შეფასების პროცესის ხარისხის კონტროლს, თანმიმდევრულობასა და ობიექტურობას. ვერიფიკაცია ხორციელდება შიდა მონიტორინგის, კოლეგიური განხილვების, ადმინისტრაციისა და კათედრების ჩართულობით, შეფასების ინსტრუმენტების ანალიზისა და უკუკავშირის (შემაჯამებლების ანალიზები, ურთიერთდასწრების ფორმები, დიაგნოსტიკური წერები, თვითრეფლექსიები) საფუძველზე.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს შესაძლო სუბიექტურობის შემცირებას, შეფასების ერთიანი სტანდარტების დაცვას და პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას. **ინდიკატორი 2.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

ნ. დუმბაძის სახელობის ქ. რუსთავის N21 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მონაცემის, დოკუმენტაციისა და მტკიცებულების სისტემურ აღრიცხვასა და უსაფრთხო შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. შეფასების მასალები ინახება, როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური სახით. დაცულია პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა და ხელმისაწვდომობა მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის.

აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, კონტროლირებადობას და საჭიროების შემთხვევაში მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.);
- მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმის დოკუმენტი (ბრძ. N2-1; 12/01/2026წ.);
- მოსწავლის ადაპტაციის წესი (ბრძ. N2-631; 23/12/2025წ);
- მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი (ბრძ. N2-633; 23/12/2025წ.);
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი - (ბრძანება N 2 - 657.);
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ურთიერთდასწრების ფორმები;

- კათედრის პორტფოლიოები;
- კათედრის სხდომის ოქმი, ანგარიში და სამოქმედო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი);
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- სასკოლო კალენდარი;
- საათობრივი ბადე და დღის რეჟიმი;
- განხორციელებული პროექტები;
- სსსმ მოსწავლეების ინდ.გეგმები;
- შემაჯამებელი ტიპის გაკვეთილები და შემაჯამებელი ტესტის ნიმუშები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოყენებულია, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე დამატებითი რესურსები, რომლების ასახულია კურუკულუმშიც. მრავალფეროვანი დახმარე რესურსების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასა და სიღრმისეული ცოდნის მიღებას. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად აქტიურად გამოიყენება კურიკულუმებში ჩაშენებული მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები: ინტერნეტპლატფორმები, ელექტრონული გზამკვლევები, პრეზენტაციები და

	ვიდეოინსტრუქციები. აღნიშნული მასალების მიზნობრივი გამოყენება ამდიდრებს საგნობრივ კონტენტს, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და უზრუნველყოფს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმებიდან დგინდება, რომ ძირითად რესურსად კათედრა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს, რომელსაც აქვს სამუშაო რვეული, აუდიო ჩანაწერები, პოსტერები, ქარდები, რაც იძლევა საგნის სტანდარტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. გარდა ძირითადი რესურებისა, კურიკულუმებში მოცემულია დამხმარე ელექტრონული რესურსები, რაც შერჩეულია ეფექტურად და დანამდვილებით დაეხმარება მოსწავლეებს განსაზღვრული შედეგების მიღწევაში. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი ეფუძნება გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, სამინისტროს მიერ შემუშავებულ მასალებს (მუსიკა), მრავალფეროვან რესურსებს და ვიდორგოლებს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და იმთავითვე მორგებულია თემატურ ერთეულბზე. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი მრავალფეროვანი რესურსები (სასწავლო მასალები, ვიზუალური და ციფრული რესურსები), რომლებიც მნიშვნელოვნად ავსებს და ამდიდრებს საგნობრივ კონტენტს. აღნიშნული რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს სწავლების პროცესის დინამიურობასა და ინტერესის ზრდას მოსწავლეთა შორის, ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობასა და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, სხვადასხვა ინტერნეტ პლათფორმებზე განთავსებულ სასწავლო რესურსებს, კოლეგების მიერ გაზიარებულ საკუთარ რესურსებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, გამართული ინტერნეტი. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი მატერიალური რესურსი: კომპიუტერები,

	პროექტორი, ცხრილები და სხვა. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	კურიკულუმებში თემებთან მიმართებით ჩაშენებულია სხვადასხვა სასწავლო რესურსი ლინკების სახით: გზამკვლევები მასწავლებლებისთვის; პრეზენტაციები სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმოშობის ისტორიით და ძირითადი წესებით; ვარჯიშის ვიდეოინსტრუქციები. კათედრის პორტფოლიოში ასევე წარმოდგენილი აქვთ ფიზიკური აღზრდის სახელმძღვანელოები ლ. კიკალიშვილის და შ. ხაბარელის ავტორობით. მასწავლებლები მრავალფეროვანი რესურსებით მოსწავლეებს შესასწავლი საკითხების უკეთ გააზრებაში ეხმარებიან. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ფორმაში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები. დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსია school.emis.ge და ასევე სხვა ელექტრონული პლატფორმები (Scratch.mit.edu, Code.org ა.შ), რაც ასევე აღნიშნეს გასაუბრებისას. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი მრავალფეროვანი რესურსები, რასაც იყენებენ სასწავლო პროცესში, ეს კი უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ცოდნის მიღება/გაღრმავებას. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	რესურსების ვალიდაცია ხორციელდება ვალიდაციის წესის შესაბამისად. სკოლა იყენებს როგორც სკოლაში არსებულ მატერიალურ რესურსებს, ასევე დამხმარე ელექტრონულ რესურსებსაც. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი	სკოლაში სასწავლო რესურსების შერჩევა ხორციელდება დადგენილი ვალიდაციის წესის

მეცნიერებები	შესაბამისად. პროცესი უზრუნველყოფს, რომ გამოყენებული მატერიალური თუ ციფრული მასალა იყოს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თავსებადი, პედაგოგიურად გამართული, სანდო და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებზე მორგებული. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრები განიხილავენ და ამტკიცებენ რესურსების ჩამონათვალს მათი მიზნობრიობისა და უსაფრთხოების გათვალისწინებით. კურიკულუმებში ინტეგრირებული ჰიპერლინკები და დამხმარე მასალები ვალიდურია და ორიენტირებულია, როგორც ტიპური განვითარების, ისე სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე. პრაქტიკაში რესურსების გამოყენების შემდეგ, მასწავლებელთა და მოსწავლეთა გამოცდილების გაზიარება უზრუნველყოფს სასწავლო მასალების მუდმივ გადამოწმებასა და განახლებას. აღნიშნული სისტემა გარანტიას იძლევა, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მაღალხარისხიანი და ვალიდური საგანმანათლებლო რესურსებით. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ერთობლივად შეთანხმდნენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებზე, რომლებიც შერჩეულია სასწავლო პროგრამის მიზნობრიობიდან გამომდინარე. აღნიშნული რესურსები მრავალფეროვანია, ვალიდურია და ემსახურება სწავლა- სწავლების პროცესის ეფექტურ ხელშეწყობას. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი რესურსების ვალიდაცია ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება შემუშავებულ ვალიდაციის წესს. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	რესურსების ვალიდაცია ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული ვალიდაციის წესის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე სკოლის მიერ შემუშავებული ვალიდაციის წესის განხილვის შესაბამისად. ასევე მასწავლებელთა და მოსწავლეთა უკუკავშირი რესურსის გამოყენების შემდეგ, პრაქტიკაში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების გაზიარება უზრუნველყოფს დამხმარე რესურსის ვალიდაციას. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ

	კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის შესაბამისი და ვალიდური. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლამ წარმოადგინა საგანმანათლებლო რესურსის ვალიდურობის განსაზღვრის დოკუმენტი, რის მიხედვითაც ყველა რესურსი უნდა იყოს ესგ-ს შესაბამისი, პედაგოგიურად გამართული, მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო, სანდო და ხელმისაწვდომი. რესურსი უნდა უზრუნველყოფდეს აქტიურ სწავლებას და მოსწავლის ჩართულობას. რესურსი ასევე უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის საჭიროებებს და ინფორმაცია უნდა იყოს ფაქტობრივად სწორი, ხოლო ავტორი/წყარო სანდო. სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლებმა კათედრის პირველ სხდომაზე განიხილეს და შეარჩიეს საგანმანათლებლო რესურსები ვალიდაციის დოკუმენტში გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით. ამასთან, ხაზი გაესვა იმ ფაქტორს, რომ რესურსი უნდა იყოს მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფისათვის შესაბამისი, გარკვეულ სქემას მორგებული და ადვილად გასაგები ინსტრუქციით აღჭურვილი. კათედრის სხდომაზე დაადგინეს სასწავლო რესურსების ჩამონათვალი. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	სკოლა ახორციელებს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი სასკოლო სასწავლო გეგმის (საგნობრივი კურიკულუმების) შემადგენელი ნაწილია. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსს. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	რესურსების ვალიდაცია ხორციელდება ვალიდაციის წესის შესაბამისად. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული, შესაბამისი და ვალიდური. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიები, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა პრაქტიკული აქტივობების განხორციელება, ასევე სხვადასხვა მატერიალური რესურსები. ვადასტურებ, რომ სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ლაბორატორიაში ჭერში დამონტაჟებულია საჰაერო გამწოვი (ვენტილაცია). სკოლამ ექსპერტთა მიერ მიიღო **რჩევა**: სასურველია, ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟდეს გამწოვი. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მატერიალური ბაზა სამივე საფეხურზე სრულად უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	უცხო ენების სწავლების პროცესში მოსწავლეები უზრუნველყონფილი არიან მატერიალური რესურსით. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა გათვალისწინებულია, რაც შესაძლებელს ხდის სასწავლო პროცესი კურიკულუმისა და შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განხორციელდეს. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში სამივე საფეხურზე მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებთან ინტერვიურების პროცესში მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობა. კათედრა აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, (დინამიკები, პროექტორი, ლეპტოპი, რეპროდუქციები და ა.შ..), რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში, ხოლო პედაგოგს აძლევს საშუალებას საინტერესოდ და მრავალფეროვნად წარმოაჩინონ შესასწავლი თემა/საკითხი. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	დოკუმენტაციის განხილვისა და კათედრის წევრებთან ინტერვიუს შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი, საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში, ხოლო პედაგოგს უადვილებს მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლას აქვს თანამედროვე და კეთილმოწყობილი შიდა სპორტული დარბაზი, რომელსაც აქვს გასახდელები და აივანი მაყურებლებისთვის. სპორტის დარბაზის იატაკი დახაზულია და დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები, ასევე ფრენბურთის ბადე. ეზოში აქვთ ღობით შემოსაზღვრული ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედანი, რომელიც ასევე დახაზულია და დამონტაჟებულია ფეხბურთის კარები. დარბაზში აქვთ ყველა საჭირო სპორტული ინვენტარი: ბურთები, კონუსები (ფიშკები) მოედნის მოსანიშნად, ბარიერები, ბადმინტონის და ჭადრაკის კომპლექტები, ჰულაჰუპი/რგოლი, კეგლი. სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა და ინვენტარი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები ტარდება კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლა ფლობს საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ფოტომასალით დასტურდება, რომ სკოლა აღჭურვილია კომპიუტერებით, პროექტორებით, რაც აადვილებს 21-ე საუკუნის უნარების განვითარებას მოსწავლეებში. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით

დაწყებითი საფეხური	გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

ნ. დუმბაძის სახელობის ქ. რუსთავის N21 საჯასრო სკოლაში დასაქმებულია - 92 მასწავლებელი, (უფროსი მასწავლებელი - 65; წამყვანი - 19; მენტორი - 2; მოწვეული - 6 (მათ შორის 2 უფროსი, 2 წამყვანი და 1 მენტორი); 7 - სპეციალური მასწავლებელი; 3 - ინტეგრირებული კლასის სპეციალური მასწავლებელი; 5 - სსსმ მოსწავლის ასისტენტი, 1 - ინტეგრირებული კლასის ფსიქოლოგი. სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის სისტემა, რომელშიც ჩართულია 3 მენტორი და 21 წამყვანი მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას, გამოცდილების გაზიარებას, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ინოვაციური პრაქტიკის დანერგვას. მენტორები და წამყვანი მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული, როგორც ახალბედა მასწავლებლების მხარდაჭერაში, ასევე კოლეგების კონსულტირებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ საქმიანობაში. სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისთვის საჭირო ადამიანურ რესურსს (სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი და საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტები), რაც ხელს უწყობს ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. ადმინისტრაცია სისტემატურად ზრუნავს პერსონალის შერჩევაზე, მხარდაჭერასა და პროფესიულ განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტობას, ხარისხსა და შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.

პერსონალის მართვასთან დაკავშირებით სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.), ასევე, მართვის გარკვეული მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში თანამშრომელთა პირადი საქმეების და eschool-ის ბაზის გაცნობის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, გარდა ერთი მოწვეული სამოქალაქო განათლების მასწავლებლისა (4 საათობრივი დატვირთვით საბაზო საფეხურზე), პედაგოგის კვალიფიკაცია არ იყო კანონმდებლობის შესაბამისი. ვიზიტის პერიოდში სკოლას არ გამოუცხადებია ვაკანსია აღნიშნულ პოზიციაზე, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევდა, რომ ინდიკატორი არ იყო შესაბამისობაში.

არგუმენტირებული პოზიციიის სახით დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულება აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა ბრძანება სამოქალაქო განათლების მოწვეულ მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ (ბრძ. N1-13; 27.03.2026წ.) და მისი საათების (4სთ) არსებულ თანამშრომელზე გადანაწილების შესახებ (ბრძ. N1-14; 27.03.2026წ.). ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და მიიჩნევს, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა", ხოლო **<u>არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა ,,სრული" შესაბამისობით.</u> ინდიკატორი 2.2.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N2-618; 19/12/2025წ.)
- საგნობრივი კურიკულუმები
- კათედრის სხდომის ოქმები
- ფოტომასალა სასწავლო სივრცეებიდან
- პედაგოგთა სია კვალიფიკაციის მიხედვით
- სასწავლო რესურსები
- ინვენტარიზაციის ბრძანება (ბრძ. N 2-583 13.11.2025)
- კათედრების პორტფოლიო
- კათედრის სხდომის ოქმები, კათედრის ანგარიში და სამოქმედო გეგმა;
- საგანმანათლებლო რესურსის ვალიდურობის განსაზღვრის დოკუმენტი;
- შემოქმედებითი პროდუქტი - განხორციელებული სასკოლო და საკლასო სპორტული ფესტივალები (ფოტომასალა); სკოლის სოციალურ გვერდზე ატვირთული განხორციელებული სასკოლო სპორტული ფესტივალების დამადასტურებელი ფოტო მასალა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- Stem-ის კლუბის მუშაობის ამსახველი და შემოქედებითი დავალებების ფარგლებში შექმნილი პროდუქტების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა საბუნებისმეტყველო საგნებში;

- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის რუსთავის N21 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება სამოქალაქო განათლების მოწვეულ მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ (ბრძ. N1-13; 27.03.2026წ.);
- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის რუსთავის N21 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება სამოქალაქო განათლების მასწავლებლის საათების (4სთ) არსებულ თანამშრომელზე გადანაწილების შესახებ (ბრძ. N1-14; 27.03.2026წ.).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

ნ. დუმბაძის სახელობის ქ. რუსთავის N21 საჯარო სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც დასტურდება ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით. ასევე, თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ სამივე საფეხურის სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სკოლის კურიკულუმით განსაზღვრული

მეთოდოლოგიის შესაბამისად და წარმოადგენს სისტემურ, დაგეგმილ და უწყვეტ პროცესს. მონიტორინგი მოიცავს გაკვეთილებზე დაკვირვებას, სასწავლო დოკუმენტაციის ანალიზს, შეფასების ინსტრუმენტების გადახედვას, მოსწავლეთა მიღწევების და პროგრესის შესწავლას. პროცესში ჩართულია ადმინისტრაცია, კათედრები, მენტორი და წამყვანი მასწავლებლები, რაც უზრუნველყოფს მონიტორინგის ობიექტურობასა და ხარისხს. **ინდიკატორი 2.3.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც დასტურდება ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ვერიფიკაციის მექანიზმი - (ბრძ. N 2 - 657) კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია).

სკოლაში მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. აღნიშნული დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით (ბრძ.N2-628/1; 22/12/2025წ.), სადაც საუბარია ხარისხის უზრურნველყოფის ციკლზე, რომელშიც საუბარია კურიკულუმებზე, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასა და ხარისხზე, იმაზე რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება იმას, რომ შემოწმდეს თუ რამდენად სწორადაა შერჩეული სწავლების მეთოდები, რესურსები, შეფასების რუბრიკები, რამდენად შესაბამისობაშია დაწერილი და განხორციელებული კურიკულუმები ერთმანეთთან.

მასწავლებლების პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის კითხვარში შეკითხვათა ნაწილი ეხმიანება მასწავლებლისთვის იმგვარად მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის პროფესიული კმაყოფილება, პროფესიული განვითარებების ფორმატი და სხვა. მასწავლებლები შემაჯამებელი დავალებების შედეგების ანალიზის საფუძველზე ახდენენ მოსწავლთა მიღწევის დიაგნოსტირებას. კონკრეტული საგნის სამიზნე უნარ-ჩვევებში მოსწავლის დაბალი აკადემიური მოსწრების დაფიქსირების შემთხვევაში, დგება მოსწავლეზე მორგებული რემედიაციის გეგმა, (მოსწავლეთა რემედიაციის წესი (ბრძ.N2-641; 24/12/2025წ.) მოსწავლის საჭიროებაზე დროული რეაგირებისა და მხარდაჭერის მიზნით. **ინდიკატორი 2.3.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც დასტურდება ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით (ბრძ.N2-628/1; 22/12/2025) და ვერიფიკაციის მექანიზმი - (ბრძ. N 2 - 657). გარდა ამისა, გასაუბრებისას, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ურთიერთდასწრების კომპონენტი, კათედრის შეხვედრები და იმის განხილვა, თუ რა განხორციელდა წარმატებით, რა იყო

მათთვის ხელისშემშლელი, რა უნდა დაიგეგმოს განსხვავებულად, როგორ გააუმჯობესონ სუსტი მხარეები და როგორ განამტკიცონ ძლიერი მხარეები. აღნიშნულს ადასტურებს კათედრის პორტფოლიოები. ვიზიტის დროს მასწავლებლებმა და სკოლის დირექციამ აღნიშნეს, რომ ისინი ყოველთვის მზად არიან მხარი დაუჭირონ ერთმანეთს და ურთიერთთანამშრომლობით გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი. დირექცია საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მასწავლებლების მხარდაჭერას რესურსებით, ტრენინგებით და სხვა მათთვის საჭირო კომპონენტებით. ასევე მშობლებთან ინტერვიუს დროს საინტერესეო მიგნება იყო დაწყებით საფეხურის მოსწავლეთა მშობლების ჩართვა ღონისძიებების და აქტივობების დროს, რამაც გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია და ინტერესი (პროექტი - პროფესიების დღე; მშობელი მასწავლებლის როლში; პროექტი - რუსთავის ისტორია). **ინდიკატორი 2.3.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა რემედიაციის წესი (ბრძ.N2-641; 24/12/2025წ.);
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ.N2-628/1; 22/12/2025წ);
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი - (ბრძანება N 2 - 657);
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი კლასების საგნობრივი კათედრის პორტფოლიო;
- საბაზო კლასების საგნობრივი კათედრის პორტფოლიო;
- საშუალო კლასების საგნობრივი კათედრის პორტფოლიო;
- კურიკულუმის რევიზიის ფორმა;
- საგნობრივი კურიკულუმები (სამივე საფეხური);

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა და წინსვლის შეფასება ეფუძნება კომპლექსურ, მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც სასკოლო საზოგადოების ფართო სპექტრის ჩართულობას გულისხმობს. პროცესის ობიექტური ანალიზისთვის სკოლა აქტიურად იყენებს კვლევის სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის კითხვარებს მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან, რაც საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს არსებული გამოწვევები და დაისახოს განვითარების გზები. მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხორციელდება როგორც შემაჯამებელი დავალებების, ისე განმსაზღვრელი და განმავითარებელი კომპონენტების საშუალებით, პარალელურად კი მიმდინარეობს მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების შესწავლა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისა და გამოკითხვის გზით.
სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, რაც გამორიცხავს ერთმხრივობას და ქმნის მოსწავლის განვითარების სრულ სურათს. ამ მიზნით გამოიყენება წერითი ნამუშევრები, შემოქმედებითი დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, დიაგნოსტიკური ტესტები და დაკვირვების ჩანაწერები, აგრეთვე თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები. მასწავლებლები სისტემატურად აგროვებენ ინფორმაციას არა მხოლოდ აკადემიური შედეგების, არამედ მოსწავლეთა ჩართულობის, თანამშრომლობის, კომუნიკაციისა და შემოქმედებითი აქტივობის შესახებ.
განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბაზო-საშუალო საფეხურს, სადაც შეფასება სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. აღნიშნული პროცესი დეტალურადაა გაწერილი სასკოლო სასწავლო გეგმაში და მოიცავს აქტივობების ფართო არეალს - საკლასო და პრაქტიკული სამუშაოებიდან დაწყებული, კომპლექსური დავალებებითა და დისკუსიებით დასრულებული. ეს ერთიანი და მრავალკომპონენტიანი მიდგომა უზრუნველყოფს სწავლების მაღალ სტანდარტს და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლაზე ორიენტირებულ გარემოს. **ინდიკატორი 2.3.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

ნ. დუმბაძის სახელობის ქ. რუსთავის N21 საჯარო სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სასწავლო წლის სხვადასხვა პერიოდში განხორციელებული შემაჯამებელი, განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასებები, მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა, ურთიერთდასწრება და ხარისხის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დაკვირვება უზრუნველყოფს სწავლის პროცესის მრავალმხრივ ანალიზს. ამავე მიზანს ემსახურება სწავლის მრავალფეროვანი მეთოდების - ესეს, პრეზენტაციისა თუ პროექტის - შესაბამისი შეფასების რუბრიკების გამოყენება.
სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება კომპლექსურია და ეფუძნება ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, ინდივიდუალური შესაძლებლობები, სოციალურ-ემოციური მდგომარეობა, ოჯახური გარემო, კულტურული კონტექსტი და უშუალოდ სასწავლო გარემო. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ მოსწავლის აკადემიური შედეგები მჭიდრო კავშირშია მის ზოგად კეთილდღეობასთან, მოტივაციასა და თვითშეფასებასთან.

შესაბამისად, შეფასების სისტემა არ არის ერთგანზომილებიანი; იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური მიღწევების აღნუსხვით და ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. **ინდიკატორი 2.3.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

ნ. დუმბაძის სახელობის N21 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. შეფასების სანდოობა და ობიექტურობა კი მიიღწევა მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების სინთეზით. შეფასების ინსტრუმენტების არსენალი მოიცავს დაკვირვებას, ზეპირ და წერით გამოკითხვას, ტესტირებას, პროექტულ და კვლევით დავალებებს, ასევე პორტფოლიოს წარმოებასა და მასწავლებლის სისტემატურ ჩანაწერებს. პროცესში აქტიურად გამოიყენება დაკვირვების ცხრილები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, დიაგნოსტიკური სქემები და სოლო (SOLO) ტაქსონომია, რაც მოსწავლის ცოდნის გააზრების დონის სიღრმისეულად განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კომპონენტებს, რაც მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობასა და კრიტიკულ აზროვნებას ავითარებს. აკადემიური მიღწევების ანალიზისთვის სკოლა იყენებს ისეთ ფორმებს, როგორიცაა ანკეტირება, ანალიტიკური ესე და რეფერატი, ხოლო მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიმართულებით უპირატესობა ენიჭება თვითშეფასებას, თვითრეფლექსიას, ანკეტირებასა და უშუალო დაკვირვებას. თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ, მონაცემთა შესაგროვებლად საჭიროებისამებრ გამოიყენება ციფრული ტექნოლოგიები და ონლაინ პლატფორმები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ოპერატიულ და ზუსტ დამუშავებას (ისტის კაბინეტში ჩატარებული დიაგნოსტიკური წერები, მოსწავლეთა გამოკითხვა და ასე შ.). აღნიშნული მრავალფეროვანი მეთოდოლოგია ქმნის მყარ საფუძველს სწავლის პროცესის ობიექტური სურათის დასახატად. **ინდიკატორი 2.3.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

ნ. დუმბაძის სახელობის 21 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება ჰოლისტურ მიდგომას, რაც გულისხმობს პიროვნული განვითარებისა და სწავლის პროცესის კომპლექსურ მხარდაჭერას. შეფასებისას გათვალისწინებულია მრავალი ფაქტორი: საგნობრივი შინაარსის ათვისების დონე, აზროვნებისა და დასაბუთების უნარები, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ჩვევები, ასევე მოსწავლის მოტივაცია, ჩართულობა და პასუხისმგებლობა. მასწავლებლები, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და შესაბამისი უკუკავშირით, ორიენტირებულნი არიან არა მხოლოდ აკადემიური შედეგის ფიქსაციაზე, არამედ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევაზე. ამ მიზნით

სკოლა აქტიურად იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, SOLO ტაქსონომიას, ჰოლისტური შეფასების რუბრიკებსა და ურთიერთ-თვითშეფასების მექანიზმებს.

საგნობრივი სპეციფიკის მიხედვით შემუშავებული რუბრიკები მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე ფუნქციურ უნარებს. მაგალითად, ანალიტიკური წერისა თუ პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები საშუალებას იძლევა, დავაკვირდეთ მსჯელობის უნარს, პრობლემის გააზრებას, ენობრივი სტრუქტურებისა და მხატვრული ხერხების გამოყენებას, აგრეთვე დროის მართვას როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური მუშაობისას. სასწავლო პროცესის შეფასება ეფუძნება კონსტრუქტივიზმის პრინციპებსა და გლობალურ-ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც სრულ თანხვედრაშია ესგ-სა და ზგემ-ის მიზნებთან. **ინდიკატორი 2.3.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კათედრის ოქმები;
- კათედრის აგარიშები;
- კათედრების პორტფოლიოები;
- შეფასების ინსტრუმენტები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების ვერიფიკაციის წესი;
- სასკოლოს სასწავლო გეგმა;
- თვითშეფასების კითხვარი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

ნ. დუმბაძის სახელობის 21 საჯარო სკოლაში ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის გასული წლის სასწავლო პროცესებისა და დანერგვის პრაქტიკის სიღრმისეული ანალიზი. ეს პროცესი მოიცავს მოსწავლეთა ჩართულობის, აკადემიური შედეგებისა და სწავლების მეთოდოლოგიის ეფექტიანობის შეფასებას. მასწავლებელთა მიერ განხორციელებული სისტემატური მონიტორინგი საშუალებას იძლევა, გამოიკვეთოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც შემდგომში გადამუშავებული და გაუმჯობესებული საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველი ხდება.

კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭება მასწავლებელთა შორის პროფესიული გამოცდილებისა და მიგნებების გაზიარებას. კათედრების სხდომებზე რეგულარულად განიხილება საუკეთესო პრაქტიკა, მიმდინარე გამოწვევები და ურთიერთდასწრების შედეგები. ამავდროულად, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა თუ შეჯამების ეტაპზე აქტიურად ხდება მშობელთა უკუკავშირის გათვალისწინება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა.

აღნიშნული კომპლექსური მუშაობის შედეგად, სკოლა გეგმავს შეიმუშაოს ერთიანი სარეკომენდაციო ხასიათის პაკეტი, რომელიც ასახავს კურიკულუმის განვითარებისთვის საჭირო პრიორიტეტებს. რეკომენდაციების ყოველდღიურ სასწავლო პრაქტიკაში ეფექტური ინტეგრირების მიზნით, დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონული ფორმით და

გადაეგზავნება სკოლის ყველა პედაგოგს, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლასა და სწავლების ხარისხის ერთიან სტანდარტს. **ინდიკატორი 2.4.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

ნ. დუმბაძის სახელობის N21 საჯარო სკოლაში კურიკულუმის შემუშავება და სრულყოფა განიხილება, როგორც უწყვეტი და ციკლური პროცესი, რომელიც მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს. ეს პროცესი ეფუძნება როგორც ინდივიდუალურ პედაგოგიურ გამოცდილებას, ისე კოლეგიალურ თანამშრომლობას. კურიკულუმის გადამუშავებისას მასწავლებლები სიღრმისეულად აანალიზებენ საკუთარ პრაქტიკას, მოსწავლეთა აკადემიურ მაჩვენებლებს, სწავლის პროცესში გამოკვეთილ სირთულეებსა და კოლეგების მიერ გაზიარებულ წარმატებულ სტრატეგიებს. ამ სისტემის განუყოფელი ნაწილია მონიტორინგი და შეფასება, რაც საშუალებას იძლევა, განისაზღვროს, რამდენად შეესაბამება მიმდინარე აქტივობები დასახულ მიზნებსა და დაგეგმილ ჩარჩოს.

კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესში და ეყრდნობა კათედრებსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის მჭიდრო კომუნიკაციას. კვლევისა და შეფასების პროცესი წარიმართება წინასწარ შეთანხმებული ფორმატით, განსაზღვრულ ვადებში და მოიცავს სამ სტრატეგიულ მიმართულებას: პირველ რიგში, ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან მიმართებით, რაც სწავლის პროცესში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებისა და მათი დროული აღმოფხვრის საშუალებას იძლევა. მეორე მიმართულება ორიენტირებულია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე სკოლის ბაზაზე, სადაც პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა ხდება უშუალო სამუშაო გარემოში. მესამე, ინსტიტუციური განვითარების დონეზე, სკოლა ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებასა და ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლებაზე. ამგვარი სისტემური მიდგომა უზრუნველყოფს კურიკულუმის არა მხოლოდ ფორმალურ არსებობას, არამედ მის რეალურ გავლენას სწავლების ხარისხზე. **ინდიკატორი 2.4.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის რევიზიის დოკუმენტი;
- კურიკულუმის რევიზია შევსებული ფორმა კლასების მიხედვით;
- შემოქმედებითი პროდუქტის განხორციელების ანალიზი;

- მოსწავლეთა ნამუშევრები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 06.04.2026.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: